



საგანმანათლებლო პროგრამის აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის  
დასკვნა

უმაღლესი განათლების პირველი და მეორე საფეხურის ფარგლებში  
განხორციელებული და ქართულ ენაში მომზადების საგანმანათლებლო  
პროგრამებისთვის

საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის საბაკალავრო  
საგანმანათლებლო პროგრამა

სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი

შეფასების თარიღ(ებ)ი  
2025 წლის 20 ოქტომბერი

დასკვნის წარდგენის თარიღი  
17.12.2025

თბილისი

## შინაარსი

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ .....	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა.....	5
III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემაჯამებელი ცხრილი .....	13
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა.....	15
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა .....	32
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა .....	44
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა.....	47
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები. ....	64

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ<sup>1</sup>**

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიითითებთ	სსიპ - აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	212693049
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

**ექსპერტთა ჯგუფის წევრები**

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი პეტრიკა ვიზურეანუ, იასის ტექნიკური უნივერსიტეტი, რუმინეთი
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ზურაბ ავალიშვილი – სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო ქიმერიძე – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თინათინ ცინარიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი, საქართველო

<sup>1</sup> ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მიითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის.

## I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ქართულად)	საწარმოო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება (ინგლისურად)	Industrial products quality management and technical expertise
უმაღლესი განათლების საფეხური/პროგრამა	ბაკალავრიატი
მისანიჭებელი კვალიფიკაცია <sup>2</sup>	მასალების საინჟინრო ტექნოლოგიის ბაკალავრი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0722 მასალები (ხე, ქაღალდი, პლასტმასი, მინა)
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება <sup>3</sup>	-
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	240
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/ არაკრედიტებული/ პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული, №680231, 06.07.2021
პროგრამაზე მიღების დამატებითი პირობები (სახელოვნებო-შემოქმედებითი ან/და სასპორტო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში შემოქმედებითი ტური/შიდა კონკურსის გავლა, ან სხვა პროგრამის შემთხვევაში, პროგრამაზე მიღების/პროგრამის განხორციელების სპეციფიური მოთხოვნები)	-
დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, სტუდენტების მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობა	-

<sup>2</sup> უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით.

<sup>3</sup> მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის, ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

## II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

### ▪ ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

„ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამას აკრედიტაცია მიენიჭა 2021 წლის 6 ივლისს აკრედიტაციის საბჭოს MES8210000680231 გადაწყვეტილების საფუძველზე. პროგრამა ხორციელდება და ფუნქციონირებს 2021/2022 სასწავლო წლიდან.

პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს, მათ შორის: სავალდებულო კურსებს, რომლებიც შეესაბამება ძირითადი სწავლის სფეროს შინაარსს (195 კრედიტი) და თავისუფალ კომპონენტებს (45 კრედიტი). პროგრამის სასწავლო გეგმა (სტრუქტურა) ლოგიკური და თანმიმდევრულია, ითვალისწინებს პროგრესიას მარტივიდან რთულისკენ. შესავალ და ძირითად კურსებს მოსდევს ძირითადი სწავლის სფეროს სასწავლო კურსები.

პროგრამა ხორციელდება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „მექანიკის ინჟინერიის“ დეპარტამენტის მიერ, რომლის აკადემიური პერსონალი გამოირჩევა მაღალი პროფესიონალიზმით და განხორციელებული კვლევების აქტუალობით და ხარისხით. შესაბამისად, მომზადებული სპეციალისტების კვალიფიკაცია განსაზღვრავს პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მაღალ აკადემიურ ხარისხს.

### ▪ აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში განხორციელდა 2025 წლის 20 ოქტომბერს, რომლის ფარგლებშიც შეფასდა „ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამა. ექსპერტთა ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ პროფესორი პეტრიკა ვიზურეანუ (თავმჯდომარე) – იასის ტექნიკური უნივერსიტეტი, რუმინეთი, ზურაბ ავალიშვილი – სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, ნინო ქიმერიძე – სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი და თინათინ ცინარიძე, შპს კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის დოქტორანტი. ექსპერტთა ჯგუფს მხარდაჭერას უწევდა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მთავარი სპეციალისტი, თამთა მოხევიშვილი. ვიზიტის ფარგლებში გაიმართა შეხვედრები უნივერსიტეტის ხელმძღვანელობასთან, თვითშეფასების ჯგუფთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენლებთან.

### ▪ საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

	სტანდარტი	შეფასება
1	საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	შესაბამისობაშია
2	სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	მეტწილად შესაბამისობაშია
3	სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	შესაბამისობაშია
4	სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	მეტწილად შესაბამისობაშია
5	სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	მეტწილად შესაბამისობაშია

## ▪ რეკომენდაციები

### 2.1 კომპონენტი

- რეკომენდებულია, ძირითად ტექნიკურ საგნებში გაძლიერდეს მხარდაჭერის ინიციატივები, იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სათანადო აკადემიური მომზადება პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.

### 2.2 კომპონენტი

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში, პუბლიკაციებში, საკონფერენციო პრეზენტაციებში და საგრანტო აქტივობებში.

### 4.1 კომპონენტი

- რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული დამხმარე პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.

### 4.3 კომპონენტი

- რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.
- რეკომენდებულია, კვლევებში, პუბლიკაციებში და საგრანტო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები.

### 5.1 კომპონენტი

- რეკომენდებულია, სამომავლოდ ჩატარდეს გარე დაინტერესებული მხარეების დეტალური გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებით მომზადდეს პირდაპირი და მიზნობრივი შრომის ბაზრის ანალიზი;
- რეკომენდებულია, დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ ინტენსიური მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან (ვორქშოფები, ტრენინგები და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით), იმისათვის, რომ განუვითარდეთ უნარები და ხელი შეუწყონ ხარისხის ინსტიტუციონალური კულტურის ჩამოყალიბებას.

### 5.2 კომპონენტი

- რეკომენდებულია, ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი ანალიზის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელობამ მოამზადოს დასაბუთებული ანგარიში, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა და აქტუალობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან მიმართებით.

- რჩევები

## 2.1 კომპონენტი

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგიონულ სკოლებში ჩაატაროს საონფორმაციო შეხვედრები, იმისათვის, რომ მოიზიდოს მრავალფეროვანი აპლიკანტები.
- სასურველია, პირველკურსელი სტუდენტებისთვის გაფართოვდეს საორიენტაციო შეხვედრები.

## 2.2 კომპონენტი

- სასურველია, სტუდენტებისთვის შემუშავდეს შიდა კვლევითი ვორქშოფები და წერის ლაბორატორიები.
- სასურველია, გაფართოვდეს ინტერდისციპლინური და პროექტზე დაფუძნებული სწავლება სხვა ფაკულტეტებთან თანამშრომლობით.
- სასურველია, წახალისდეს სტუდენტების მონაწილეობა ინოვაციურ კონკურსებში ან შემოქმედებით გამოფენებში.

## 2.3 კომპონენტი

- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (ISO, ASTM) გამოყენების და განმარტების მიმართულებით.
- სასურველია, პრაქტიკული სწავლების გასაუმჯობესებლად, გაგრძელდეს ჰიბრიდული და ვირტუალური ლაბორატორიული მოდელების შემუშავება.
- სასურველია, სასწავლო პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოვდეს სტუდენტური უკუკავშირის სისტემატური გამოყენება.

## 2.4 კომპონენტი

- სასურველია, უნივერსიტეტმა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ყოველწლიურად ჩაატაროს დასაქმების ფორუმები, რათა ხელი შეუწყოს დამსაქმებლებთან პირდაპირ ურთიერთობას და გააუმჯობესოს დასაქმების შესაძლებლობები.

## 3.1 კომპონენტი

- სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და თანამშრომლობა, იმისათვის, რომ გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა კონფერენციებში, კვლევებში და პროექტზე დაფუძნებულ აქტივობებში. აღნიშნული კიდეც უფრო გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს და მდგრადობას.

## 4.1 კომპონენტი

- სასურველია, პროგრამაში ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი/ინდუსტრიული გამოცდილების მქონე პერსონალის წილი, იმისათვის, რომ გაძლიერდეს პროგრამის გამოყენებითი პროფილი.
- სასურველია, სამომავლოდ მოწვეული პერსონალის შერჩევას უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატებს, რომელთა აკადემიური ხარისხი პირდაპირ შესაბამისობაში იქნება პროგრამის ტექნიკურ მიმართულებასთან.

- სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის განხორციელებაში უცხოელი ექსპერტების პერიოდული ჩართულობით.
- სასურველია, გააფართოვდეს ახალი პერსონალის ხელმძღვანელობის შესაძლებლობები.
- სასურველია, კვლევებში სტუდენტების მონაწილეობის მხარდასაჭერად შემუშავდეს სამოტივაციო სქემები.
- სასურველია, გაძლიერდეს საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის თანადაფინანსების მექანიზმები.

### 4.3 კომპონენტი

- სასურველია, გააფართოვდეს შიდა სამოტივაციო სქემები სტიპენდიების დაწესებით ან სტატიების გამოქვეყნების მხარდაჭერით.
- სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია უცხოელი ექსპერტების მიზნობრივი ჩართულობით.
- სასურველია, ახალგაზრდა მკვლევარებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დამატებითი განვითარების შესაძლებლობები.
- სასურველია, გაფართოვდეს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და კვლევითი თანამშრომლობის თანადაფინანსება.

### 5.1 კომპონენტი

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა.

### 5.2 კომპონენტი

- სასურველია, უცხოელმა ექსპერტებმა პროგრამის შეფასებისას გამოიყენონ იგივე მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ ქართველი ექსპერტები;
  - სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა თავისი კვლევა დააფუძნოს საუკეთესო პრაქტიკის ფართო სპექტრზე.
- საგანმანათლებლო პროგრამის რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი აკრედიტაციის სტანდარტების მოთხოვნების შესაბამისად, მაგალითად:
- **პერსონალი და ნაშრომების ხელმძღვანელები** - პროგრამის განხორციელებაში ჩართულია სულ 16 თანამშრომელი, მათ შორის 15 აკადემიური პერსონალი და 1 მოწვეული სპეციალისტი. აკადემიური პერსონალი შედგება 3 სრული და 12 ასოცირებული პროფესორისგან, რომლებიც ფლობენ დოქტორის ხარისხს შესაბამის დარგობრივ სფეროში. პროგრამაში არ არიან ჩართული ასისტენტ-პროფესორები, ასისტენტები ან სამეცნიერო პერსონალი (მკვლევრები/პოსტდოქტორანტები). 15 აკადემიური პერსონალის წევრი აფილირებულია დაწესებულებაში, რაც უზრუნველყოფს გრძელვადიან მდგრადობას და ძლიერ ინსტიტუციონალურ ვალდებულებას. მოწვეული პერსონალი ძირითადად ახორციელებს პრაქტიკულ კომპონენტებს. პროგრამას არ ჰყავს საერთაშორისო აკადემიური ან სამეცნიერო პერსონალი. ამჟამად პროგრამაზე ირიცხება 73 სტუდენტი.
  - აფილირებული აკადემიური პერსონალის და სტუდენტების რაოდენობა არის 1:0.21;
  - აკადემიური / მოწვეული პერსონალის და სტუდენტების თანაფარდობა არის 1:0.22;

- აკადემიური და მოწვეული პერსონალის თანაფარდობა არის 15:1.

უნივერსიტეტი არ ახორციელებს ამავე მიმართულების სამაგისტრო ან სადოქტორო პროგრამას, შესაბამისად, არ არიან შერჩეულნი ხელმძღვანელი და მათი და სტუდენტების თანაფარდობა არ არის წარმოდგენილი.

**სამეცნიერო/კვლევითი მაჩვენებლები** - პროგრამაში ჩართული აკადემიური პერსონალი აჩვენებს სამეცნიერო პროდუქტიულობის მაღალ დონეს. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში პერსონალის წევრებმა შექმნეს სულ 124 სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომი, მათ შორის:

- 48 სტატია გამოქვეყნებულია საერთაშორისო რეცენზირებად ჟურნალებში;
- 15 სტატია გამოქვეყნებულია ადგილობრივ ჟურნალებში;
- 50 პრეზენტაცია წარდგენილია საერთაშორისო კონფერენციებზე;
- 0 პრეზენტაცია ადგილობრივ კონფერენციებზე;
- მიღებულია მონაწილეობა 11 დაფინანსებულ კვლევით/საგრანტო პროექტში.

აღნიშნული კვლევითი პორტფოლიო ადასტურებს აკადემიური საზოგადოების აქტიურ ჩართულობას როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო სამეცნიერო აქტივობებში.

- **აკადემიური პერსონალის გადინების მაჩვენებელი** - მონაცემები აკადემიური პერსონალის გადინების შესახებ ზომიერია. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში:
- პროგრამას შეუერთდა 2 ახალი აკადემიური პერსონალის წევრი;
- 3 აკადემიური პერსონალის წევრი გადავიდა ან გავიდა პენსიაზე.

აღნიშნული აჩვენებს:

- აკადემიური პერსონალის გადინების 19.4%-იან (შემცირების) და შენარჩუნების 81.3%-იან მაჩვენებელს.

მოწვეული პერსონალის გადინება მინიმალურია:

- პროგრამას დაემატა 1 მოწვეული პერსონალის წევრი, გადავიდა 0, რაც აჩვენებს 0%-იან შემცირებას და სტაბილურ შენარჩუნებას.

აღნიშნული მიუთითებს პერსონალის საერთო სტაბილურობაზე და მდგრადობაზე.

- **ჩარიცხულ პირთა შესახებ მონაცემები** - ბოლო ხუთი წლის განმავლობაში ფიქსირდება სტუდენტების ინტერესის და ჩარიცხვის პოზიტიური დინამიკა. პროგრამაზე ყოველწლიურად ცხადდება სტუდენტების 20–40 ადგილი, შიდა დაგეგმვის შესაბამისად.

აპლიკანტების რაოდენობა:

- 405 აპლიკანტი (პირველი წელი)
- 561 აპლიკანტი
- 600 აპლიკანტი
- (0 აჩვენებს წლებს, როდესაც პროგრამა იყო ახალი ან შეჩერებული იყო სტუდენტების მიღება)

აპლიკანტები, რომლებმაც პროგრამა შეარჩიეს პირველი სამი არჩევანის ფარგლებში:

- 55 აპლიკანტი
- 122 აპლიკანტი
- 116 აპლიკანტი

პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა:

- 12 სტუდენტი
- 29 სტუდენტი
- 21 სტუდენტი

აღნიშნულ პერიოდში პროგრამას არ ჰყოლია უცხოელი აპლიკანტები ან ჩარიცხული საერთაშორისო სტუდენტები.

პროგრამას ჰყავს 73 აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტი

სტუდენტების პროგრესი ბოლო 5 წლის განმავლობაში:

- პირველ წელს ჩარიცხული სტუდენტების რაოდენობა მერყეობდა 16-დან 37 სტუდენტამდე.
- მეორე წლის პროგრესის მაჩვენებელი ანალოგიურია, კოჰორტის შესაბამისად.
- მესამე და მეოთხე წლის მონაცემები აჩვენებს სტაბილურ განვითარებას.
- სტატუსის შეწყვეტის შემთხვევები: 0 სტუდენტი.
- სტატუსის შეჩერება: პერიოდული შემთხვევები (1–24 სტუდენტი).
- კურსდამთავრებულები: 10 სტუდენტი.

სტუდენტების მონაწილეობა კვლევით და პრაქტიკულ აქტივობებში:

- მონაწილეობა სტუდენტურ სამეცნიერო კონფერენციაში: 9 სტუდენტი.
- აკადემიური პრაქტიკა: 54 სტუდენტი.
- ინდუსტრიული პრაქტიკა (პირველი ეტაპი): 9 სტუდენტი.
- ინდუსტრიული პრაქტიკა (მე - 2 ეტაპი): 9 სტუდენტი.
- საგრანტო პროექტებში მონაწილეობა: 3 სტუდენტი.

კურსდამთავრებულთა შედეგები:

- დასაქმების მაჩვენებელი: 90%
- დასაქმება კვალიფიკაციის მიხედვით: 10%
- სწავლის გაგრძელება უმაღლესი განათლების შემდეგ საფეხურზე: 0%

მობილობის მაჩვენებლები:

- გარე მობილობა გამავალი: 0 სტუდენტი
- შიდა მობილობა გამავალი: 0–2 სტუდენტი
- გარე მობილობა შემომავალი: 0–1 სტუდენტი
- შიდა მობილობა შემომავალი: 37, 6, 4, 6 სტუდენტი (სხვადასხვა წლებში)

კურსდამთავრებულთა შეფასების შედეგები:

- ფრიადი – 10%
- კარგი – 70%
  
- თვითშეფასების დანართში მოცემული სხვა რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი.
  
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)<sup>4</sup>
  
- ინფორმაცია არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების არგუმენტაციის თაობაზე

## 2.1 არ არის გაზიარებული

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ - ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ვინაიდან დაწესებულების მიერ აღწერილი მხარდამჭერი ღონისძიებები ძირითადად ეხება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის დროს გაწულ მხარდაჭერას, ხოლო 2.1 კომპონენტში გაცემული რეკომენდაცია ფოკუსირებულია პირველკურსელი სტუდენტებისთვის სტრუქტურირებული მხარდამჭერი მექანიზმების შეთავაზებაზე ჩარიცხვის და ადაპტაციის ეტაპზე. გარდა ამისა, ექსპერტთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ინტერვიუების დროს აღინიშნა, რომ ჩარიცხული სტუდენტების აკადემიური მომზადების დონე სრულად არ აკმაყოფილებდა პროგრამის მოთხოვნებს, რაც ადასტურებს რეკომენდაციის რელევანტურობას.

## 2.2 არ არის გაზიარებული

ექსპერტთა ჯგუფი არ იზიარებს უსდ - ს მიერ წარმოდგენილ არგუმენტირებულ პოზიციას, ვინაიდან სტუდენტების აქტივობები, მოცულობის და შედეგების თვალსაზრისით, არ შეესაბამება პროგრამის აკადემიურ და კვლევით შესაძლებლობებს და ვერ იქნება მიჩნეული, რომ აკმაყოფილებს 2.2 კომპონენტში გაცემული რეკომენდაციით გათვალისწინებული სტრუქტურირებული და სისტემატური ხელმძღვანელობის მექანიზმების არსებობის მოთხოვნებს.

---

<sup>4</sup> პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის.

- ხელახალი აკრედიტაციისას, აკრედიტაციის პერიოდში მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მოკლე მიმოხილვა, ასევე, წინა აკრედიტაციის პროცესში მიღებული რეკომენდაციების შესრულების ანალიზი.

### III. პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შეფასება
1.	<b>საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა</b>	შესაბამისობაშია
1.1	<a href="#">პროგრამის მიზნები</a>	შესაბამისობაშია
1.2	<a href="#">პროგრამის სწავლის შედეგები</a>	შესაბამისობაშია
1.3	<a href="#">პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი</a>	შესაბამისობაშია
1.4	<a href="#">საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</a>	შესაბამისობაშია
1.5	<a href="#">სასწავლო კურსი/საგანი</a>	შესაბამისობაშია
2.	<b>სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა</b>	მეტწილად შესაბამისობაშია
2.1	<a href="#">პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
2.2	<a href="#">პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
2.3	<a href="#">სწავლება-სწავლის მეთოდები</a>	შესაბამისობაშია
2.4	<a href="#">სტუდენტების შეფასება</a>	შესაბამისობაშია
3.	<b>სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა</b>	შესაბამისობაშია
3.1	<a href="#">სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები</a>	შესაბამისობაშია
3.2	<a href="#">მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა</a>	შესაბამისობაშია
4	<b>სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა</b>	მეტწილად შესაბამისობაშია
4.1	<a href="#">ადამიანური რესურსი</a>	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
4.2	<a href="#">მაგისტრანტისა ხელმძღვანელის კვალიფიკაცია</a>	შესაბამისობაშია
4.3	<a href="#">აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
4.4	<a href="#">მატერიალური რესურსი</a>	შესაბამისობაშია
4.5	<a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>	შესაბამისობაშია
5	<b>სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები</b>	მეტწილად შესაბამისობაშია
5.1	<a href="#">შიდა ხარისხის შეფასება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
5.2	<a href="#">გარე ხარისხის შეფასება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია
5.3	<a href="#">პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება</a>	შესაბამისობაშია

სახელმძღვანელო პრინციპები და სტანდარტები (იხ. ბმული)

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტები

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შეფასების სახელმძღვანელო

რჩევები უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში/დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ადგილების ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგიის შეფასების თაობაზე  
შეფასების კრიტერიუმები

**განმარტებები:**

**რეკომენდაციები** - წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამებმა დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები** - არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამების განვითარებისთვის

### III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

#### 1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

#### 1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

#### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნები კარგად არის სტრუქტურირებული და შეესაბამება დარგის სპეციფიკას, დონეს და მასალათმცოდნეობის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამის მე-6 დონის საგანმანათლებლო მიზანს.

#### 1. პროგრამის მიზნები და სპეციფიკა

პროგრამა მიზნად ისახავს მაღალკვალიფიციური სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც შეძლებენ სამეცნიერო, ტექნიკური და მართვის პრინციპების გამოყენებას ხე-ტყის, ქვის, კერამიკის, მინის, რეზინის და პლასტმასის დამუშავების და ხარისხის კონტროლის პროცესში. მიზნები ჩამოყალიბებულია ეროვნული ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, საინჟინრო სექტორის მოდერნიზაციის და ევროპის უმაღლესი განათლების სტანდარტების მიხედვით. ფოკუსი ინდუსტრიული ხარისხის მართვაზე და ტექნიკურ ცოდნაზე ასახავს თანამედროვე საწარმოო გამოწვევებზე და მდგრადობის პრინციპებზე პროგრამის რეაგირებას.

პროგრამა უზრუნველყოფს საბაკალავრო დონის საფუძვლიან და გამოყენებით ცოდნას საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში, ინჟინერიაში და მენეჯმენტში. პროგრამის სტრუქტურა ვითარდება ძირითადი თეორიული კურსებიდან გამოყენებით ინდუსტრიულ პროექტებამდე და პრაქტიკულ მომზადებამდე, რაც კურსდამთავრებულს საშუალებას აძლევს იმუშაოს რთულ საწარმოო სისტემებში ანალიტიკური და პრობლემის გადაჭრის შესაძლებლობებით.

„ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია აწსუ - ს ოფიციალურ პლატფორმებზე. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, მიზნები აღწერილია პროგრამაში, რომელიც ხელმისაწვდომია:

- აწსუ - ს ოფიციალურ ვებ - გვერდზე (განყოფილება: საგანმანათლებლო პროგრამები),
- ტექნიკური ინჟინერიის ფაკულტეტის ვებ - გვერდზე და
- ელექტრონულ დეკანატში, სადაც სტუდენტებს და დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ გაეცნონ პროგრამის სტრუქტურას, სწავლის შედეგებს და მიზნებს.

აღნიშნული გამჭვირვალობა პოტენციურ სტუდენტებს, დამსაქმებლებსა და აკადემიურ პარტნიორებს საშუალებას აძლევს გაეცნონ პროგრამის მიზნებს და კურსდამთავრებულის მოსალოდნელ პროფილს. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილია პროგრამის შემუშავების და გადახედვის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მკაფიო მტკიცებულება:

- დამსაქმებლები, კურსდამთავრებულები, სტუდენტები და აკადემიური პერსონალი მონაწილეობდა კონსულტაციებში გამოკითხვების, შეხვედრების და ინტერვიუების მეშვეობით.
- საერთაშორისო პარტნიორები, მაგალითად, როგორცაა სლოვაკეთის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი ბრატისლავაში, მონაწილეობდნენ პროგრამის შედარების პროცესში.
- შეხვედრების ოქმებით და უკუკავშირის ანგარიშებით დასტურდება, რომ დაინტერესებული მხარეების მიერ გაცემულმა რეკომენდაციებმა გამოიწვია პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების ფორმულირების კორექტირება და დახვეწა.

შესაბამისად, პროგრამის მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია და შემუშავებულია დაინტერესებული მხარეების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ სტანდარტებთან და შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობას.

## 2. ცოდნის, უნარების და კომპეტენციების განსაზღვრა

პროგრამაში განსაზღვრულია სწავლის შედეგების ნაკრები, რომლებიც ავითარებენ:

- ცოდნას: მასალების თვისებების, დამუშავების ტექნოლოგიების და ხარისხის სტანდარტების (ISO, ეროვნული აკრედიტაციის ნორმები) ცოდნა.
- უნარებს: ტექნოლოგიური აღჭურვილობის შერჩევის და გამოყენების, საწარმოო ობიექტების დაპროექტების, PDCA ციკლების მართვის და რაოდენობრივი და თვისებრივი შეფასების მეთოდების გამოყენების უნარი.
- კომპეტენციებს: პროფესიული პასუხისმგებლობა, დინამიურ ინდუსტრიულ გარემოში დამოუკიდებელი გადაწყვეტილების მიღება და უწყვეტი პროფესიული განვითარების ვალდებულება.

კურსდამთავრებულებს შეუძლიათ გააანალიზონ მასალების ქცევა, დააპროექტონ საწარმოო პროცესები და მართონ პროდუქციის ხარისხის სისტემები, რაც უზრუნველყოფს ქართული წარმოების კონკურენტუნარიანობას.

## 3. დარგის და საზოგადოების განვითარებაში შეტანილი წვლილი

პროგრამა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს როგორც მასალათმცოდნეობის დარგის, ისე საზოგადოების განვითარებაზე:

- პროგრამა მხარს უჭერს რეგიონული ინდუსტრიის ზრდას სხვადასხვა მასალების დამუშავების ტექნოლოგიების ცოდნით აღჭურვილი სპეციალისტების მომზადებით.
- მდგრადი საწარმოო პრაქტიკის და ხარისხის მართვის გამოყენებით ხელს უწყობს ქართული წარმოების ინოვაციას და გათანამედროვებას.
- ამყარებს საერთაშორისო თანამშრომლობას, განსაკუთრებით სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ბრატისლავაში, რაც უზრუნველყოფს გლობალურ შესაბამისობას და აკადემიურ მობილობას.

- აძლიერებს წარმოების შესაძლებლობას, ვინაიდან სტუდენტები ქმნიან რეალურ პროექტებს და პროტოტიპებს (მაგალითად, საწარმო "Gogowoods").

შესაბამისად, პროგრამა საქართველოს ინდუსტრიულ სექტორში უზრუნველყოფს ეკონომიკურ განვითარებას, დასაქმების ზრდას და ტექნოლოგიურ კონკურენტუნარიანობას.

#### 4. შესაბამისობა და შეფასება

პროგრამა შეესაბამება უმაღლესი განათლების აკრედიტაციის სტანდარტებს და ბოლონის პროცესს. მისი დიზაინი აჩენებს შესაბამისობას მიზნებს, სასწავლო გეგმის სტრუქტურას და მოსალოდნელ სწავლის შედეგებს შორის.

- მიზნები საჯაროდ ხელმისაწვდომია, შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას, ხაზს უსვამს განათლებას, რომელიც ხელს უწყობს ინოვაციას და საზოგადოების საჭიროებების დაკმაყოფილებას.
- სწავლის შედეგები გაზომვადია, რეალისტურია და შედარებულია ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსთან და შრომის ბაზრის მოლოდინებთან.
- სასწავლო გეგმის რუკა სწავლის შედეგებს აკავშირებს კონკრეტულ სასწავლო კურსებთან, რაც უზრუნველყოფს ლოგიკურ განვითარებას და სწავლის შედეგების მიღწევას.
- მიზნების და სასწავლო გეგმის გადახედვის მიზნით გამოიყენება უწყვეტი უკუკავშირის მექანიზმები (დამსაქმებლების და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, ყოველწლიური თვითშეფასებები).

პროგრამის ძლიერ მხარეს წარმოადგენს თეორიული ცოდნის გაერთიანება ინდუსტრიულ პრაქტიკასთან, სწავლის შედეგებზე დაფუძნებული სასწავლო გეგმის სტრუქტურა და როგორც ადგილობრივი, ისე ეროვნული ინდუსტრიის გათანამედროვეებაში შეტანილი წვლილი. პროგრამის მიზნებს, სწავლის შედეგებს და სწავლების მეთოდოლოგიას შორის შესაბამისობა ადასტურებს აკრედიტაციის სტანდარტებთან თანხვედრას. უწყვეტი განვითარების სფეროები მოიცავს საერთაშორისო პარტნიორობის გაფართოებას და გლობალური კონკურენტუნარიანობის გასაძლიერებლად ერთობლივი პროგრამების შემუშავებას.

#### მტკიცებულებები/ინდიკატორები

შესაბამისობა და განხორციელების ხარისხი დადასტურებულია შემდეგი დოკუმენტაციით:

- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (აწსუ - ს ოფიციალური დოკუმენტები);
- „ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამა (სასწავლო გეგმა, სილაბუსები, სწავლის შედეგების რუკა);
- შრომის ბაზრის კვლევა, რომელიც ადასტურებს მასალათმცოდნეობის სპეციალისტების რელევანტურობას;
- დაინტერესებული მხარეები მონაწილეობის ჩანაწერები (დამსაქმებლებთან, საერთაშორისო პარტნიორებთან და კურსდამთავრებულებთან ჩატარებული შეხვედრების ოქმები);
- სწავლის შედეგების შეფასების სქემა და სასწავლო გეგმის რუკა, სადაც დეტალურად არის წარმოადგენილი შეფასების მეთოდები და სამიზნე ნიშნულები;

- საერთაშორისო თანამშრომლობის და სტუდენტური პროექტების მტკიცებულებები, რომლებსაც წვლილს შეაქვთ ინდუსტრიულ პარტნიორობაში.

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>1.1 პროგრამის მიზნები</b>	შესაბამისობაშია

**1.2 პროგრამის სწავლის შედეგები**

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**1. სწავლის შედეგების, პროგრამის მიზნების და დარგის სპეციფიკის ლოგიკური კავშირი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის „ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამაში კარგად არის განსაზღვრული შესაბამისობა სწავლის შედეგებს, მიზნებსა და მასალათმცოდნეობის დარგის სპეციფიკას შორის. პროგრამის მიზნები ფოკუსირებულია კომპეტენტური სპეციალისტების მომზადებაზე, რომლებიც შეძლებენ სხვადასხვა მასალისგან დამზადებული ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვას და უზრუნველყოფას. აღნიშნული პირდაპირ არის ასახული გაზომვად და თანმიმდევრულ სწავლის შედეგებში. სწავლის შედეგები საბუნებისმეტყველო მეცნიერებების და ინჟინერიის თეორიულ საფუძვლებს აერთიანებს გამოყენებით კომპეტენციებთან მასალების დამუშავების, საწარმოო ტექნოლოგიების და ხარისხის მართვის სისტემებში.

კავშირი მკაფიოა: პროგრამის მიზნებში აქცენტი კეთდება შრომის ბაზრისთვის კურსდამთავრებულთა მომზადებაზე, ინოვაციური აზროვნების განვითარების ხელშეწყობაზე და თანამედროვე ინდუსტრიულ პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობაზე. აღნიშნული მიზნები სწავლის შედეგებში დაკონკრეტებულია ანალიტიკური მეთოდების, ტექნოლოგიური დიზაინის და ინდუსტრიის შესაბამისი მასალების მართვის ინსტრუმენტების დაუფლებით. სასწავლო გეგმაში წარმოდგენილია პროგრესია ზოგადი სამეცნიერო და ტექნიკური საგნებიდან ხარისხის კონტროლის,

მასალების დამუშავების და ტექნიკური ცოდნის სპეციალიზებულ კურსებამდე, რაც უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისობას პროგრამის მიზნებთან და დარგის მოთხოვნებთან.

აღნიშნული ლოგიკური კავშირი განმტკიცებულია დაინტერესებულ მხარეებთან უწყვეტი კომუნიკაციით, მათ შორის დამსაქმებლებთან, კურსდამთავრებულებთან და აკადემიურ ექსპერტებთან (მაგალითად, თანამშრომლობა სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ბრატისლავაში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან). აღნიშნული კონსულტაციები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების შესაბამისობას მიმდინარე საინჟინრო პრაქტიკასთან, ევროპის უმაღლესი განათლების სტანდარტებთან და შრომის ბაზრის მოლოდინებთან, განსაკუთრებით საქართველოს მზარდ ინდუსტრიულ და საწარმოო სექტორებში.

## 2. ცოდნის, უნარების და კომპეტენციების (პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა) აღწერა

სწავლის შედეგებში მკაფიოდ არის აღწერილი კურსდამთავრებულის კომპეტენციის სამი ძირითადი განზომილება:

- **ცოდნა და გაცნობიერება:** კურსდამთავრებულები იძენენ ყოვლისმომცველ ცოდნას მასალების თვისებების, ტექნოლოგიური პროცესების და პროდუქციის ხარისხის მარეგულირებელი საერთაშორისო/ეროვნული სტანდარტების (ISO, აკრედიტაციის ნორმები) შესახებ. მათ შეუძლიათ აღწერონ და გააანალიზონ სხვადასხვა მასალების (ხე-ტყე, კერამიკა, მინა, რეზინა, პლასტმასი) ვიზუალური, ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური მაჩვენებლები და ჰქონდეთ ინდუსტრიული წარმოების მარეგულირებელი საინჟინრო და საკანონმდებლო ჩარჩოების ცოდნა.
- **უნარები:** სტუდენტებს განვითარებული აქვთ საწარმოო ობიექტების დაპროექტების, შესაბამისი დამუშავების ინსტრუმენტების შერჩევის, პროდუქციის ხარისხის კონტროლის უნარები PDCA (დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე) ციკლის მეშვეობით და თანამედროვე ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების კომპეტენციები. ისინი სწავლობენ შეფასების და გაზომვის სისტემების გამოყენებას, საწარმოო პროცესების მართვას და პროფესიული და ციფრული ინსტრუმენტებით ეფექტური კომუნიკაციის წარმოებას.
- **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა:** კურსდამთავრებულები მომზადდებიან არიან დამოუკიდებლად იმუშაონ რთულ, არაპროგნოზირებად ინდუსტრიულ გარემოში, დაიცვან პროფესიული ეთიკა, უსაფრთხოების და გარემოს დაცვის პრინციპები. მათ შეუძლიათ შეაფასონ საკუთარი კომპეტენციები, დაგეგმონ უწყვეტი პროფესიული განვითარება და პასუხისმგებლობა აიღონ როგორც ინდივიდუალური, ისე გუნდური ტექნიკური გადაწყვეტილებების მიღებაზე.

ერთიანობაში, სწავლის შედეგები უზრუნველყოფენ სტუდენტების ჩამოყალიბებას ავტონომიურ, ბაზრისთვის მომზადებულ პროფესიონალებად, რომლებიც შეძლებენ წვლილის შეტანას ინოვაციაში, მდგრადობაში და ეფექტურობაში მასალებზე დაფუძნებულ ინდუსტრიებში.

## 3. შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება

პროგრამა შესაბამისობაშია „პროგრამის სწავლის შედეგების“ 1.2 კომპონენტის მოთხოვნებთან.

- სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული მიზნებთან და ასახავს დარგის ინტერდისციპლინურ ბუნებას. ერთმანეთთან აკავშირებს ინჟინერიას, მასალათმცოდნეობას და ხარისხის უზრუნველყოფას.

- სწავლის შედეგები გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია, შეესაბამება უმაღლესი განათლების ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონეს.
- ისინი შემუშავებულია აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების და სტუდენტების მონაწილეობით, რაც უზრუნველყოფს ეროვნულ და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნებზე რეაგირებას.
- სასწავლო გეგმის რუკა თითოეულ სწავლის შედეგს აკავშირებს შესაბამის კურსებთან, პრაქტიკასთან და სტაჟირებასთან, მიუთითებს მიღწევის დონეებს (გაცნობა – პრაქტიკა – დაუფლება), რაც უზრუნველყოფს სტუდენტის პროგრესის გამჭვირვალობას და მონიტორინგს.
- შეფასების მექანიზმები კარგად არის ჩამოყალიბებული: სისტემატურად გამოიყენება როგორც პირდაპირი (ტესტები, პროექტები, პრაქტიკული დავალებები, გამოცდები), ისე არაპირდაპირი მტკიცებულებები (დასაქმების მაჩვენებლები, კურსდამთავრებულთა გამოკითხვები, დამსაქმებელთა უკუკავშირი).
- აღნიშნული შეფასებების შედეგები გაანალიზებულია ციკლურად და გამოყენებულია პროგრამის განახლებისთვის და გაუმჯობესებისთვის, რაც ასახავს PDCA მოდელთან ხარისხის უზრუნველყოფის მიდგომების შესაბამისობას.

პროგრამის დიზაინი, თანმიმდევრულობა და შეფასების პროცესები შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტებს, ბოლონის პროცესს და ევროპული კრედიტების ტრანსფერის და დაგროვების სისტემის (ECTS) სახელმძღვანელო პრინციპებს. აღნიშნული უზრუნველყოფს სწავლის შედეგების საერთაშორისო შედარებადობას, გამჭვირვალობას და მდგრადობას.

პროგრამის სწავლის შედეგები თანმიმდევრულად არის დაკავშირებული მის მიზნებთან, დარგობრივ მოთხოვნებთან და დაწესებულების მისიასთან. მათში ყოვლისმომცველად არის განსაზღვრული კურსდამთავრებულის პროფილი კოგნიტიურ, პრაქტიკულ და ეთიკურ განზომილებებში, რაც უზრუნველყოფს მზადყოფნას დასაქმებისთვის და განათლების შემდგომ საფეხურზე სწავლის გაგრძელებისთვის. შეფასების მექანიზმები, დაინტერესებული მხარეების ჩართულობა და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობა ადასტურებს 1.2 კომპონენტთან სრულ შესაბამისობას.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- „ინდუსტრიული პროდუქციის ხარისხის მართვის და ტექნიკური ექსპერტიზის" საბაკალავრო პროგრამა (სასწავლო გეგმა, სილაბუსები და სტრუქტურა);
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების სქემა (პირდაპირი/არაპირდაპირი შეფასების ინსტრუმენტების განსაზღვრა);
- სასწავლო გეგმის რუკა (სასწავლო კურსების დაკავშირება სწავლის შედეგებთან და დაუფლების დონეების დაზუსტება);
- პროგრამის მიზნების და სწავლის შედეგების რუკა;
- შრომის ბაზრის კვლევა (კომპეტენციების რელევანტურობის დადასტურება);
- დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ოქმები და ინდუსტრიულ და აკადემიურ პარტნიორებთან კომუნიკაციის კორესპონდენცია);
- უნივერსიტეტის მისია და სტრატეგიული განვითარების გეგმა (ინსტიტუციონალურ მიზნებთან შესაბამისობა).

- სწავლის შედეგების ყოველწლიური შეფასების და კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა უკუკავშირის საფუძველზე განხორციელებული ცვლილებების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

**რეკომენდაციები**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის წინადადება(ები) პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">1.2 პროგრამის სწავლის შედეგები</a>	შესაბამისობაშია

**1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი**

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები; პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ციკლი შედგება სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემების განსაზღვრისგან, შეგროვებისა და ანალიზისგან;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**1. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების განმარტება**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ ამკვიდრებს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ყოვლისმომცველ და სტრუქტურირებულ სისტემას, რაც უზრუნველყოფს შეფასების პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას, ასევე პროგრამის უწყვეტ გაუმჯობესებას. შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული სწავლის შედეგების შეფასების სქემაში, რომელიც ასახავს მოსწავლეთა მიღწევების გაზომვის მეთოდებს, ვადებსა და საორიენტაციო ნიშნულებს.

აღნიშნული მექანიზმები შემუშავებულია პროგრამის სამუშაო ჯგუფის მიერ და ეფუძნება დამსაქმებლების, კურსდამთავრებულების, სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის გამოკითხვებსა და ანალიზს, ასევე შრომის ბაზრის მიმდინარე ტენდენციებსა და ეროვნულ და საერთაშორისო სტანდარტებს. ჩარჩო განასხვავებს სწავლის შედეგების შეფასების პირდაპირ და ირიბ მეთოდებს:

- პირდაპირი მტკიცებულებები მოიცავს გამოცდებს, პროექტებს, ტესტებს, ლაბორატორიულ ანგარიშებს, პორტფოლიოებსა და პრაქტიკას (სტაჟირებას).
- ირიბი (არაპირდაპირი) მტკიცებულებები მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლებს, დასრულების სტატისტიკას, დამსაქმებელთა შეფასებებსა და გამოკითხვის მონაცემებს.

შეფასების პროცესი უზრუნველყოფს, რომ პროგრამის თითოეული სწავლის შედეგი იყოს გაზომვადი და პირდაპირ იყოს დაკავშირებული პროგრამის კონკრეტულ კომპონენტთან. სისტემა შემუშავებულია როგორც თვისებრივი, ისე რაოდენობრივი მონაცემების შეგროვებისა და ანალიზისთვის; იგი თანხვედრაშია უწყვეტი გაუმჯობესების PDCA (Plan–Do–Check–Act) ციკლსთან და შეესაბამება საქართველოს ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოსა და ევროპული უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) სტანდარტებს.

## **2. სწავლის შედეგების შეფასების ციკლი: მონაცემების განსაზღვრა, შეგროვება და ანალიზი**

შეფასების ციკლი ოთხ სისტემატურ ეტაპს მოიცავს:

### **1. სწავლის შედეგების განსაზღვრა:**

სწავლის შედეგები ფორმულირდება აკადემიური პერსონალის, დარგის ექსპერტებისა და ხარისხის უზრუნველყოფის სპეციალისტების ერთობლივი ჩართულობით, რაც უზრუნველყოფს მათ თანმიმდევრულობას პროგრამის მიზნებთან და შესაბამისობას კვალიფიკაციის დონესთან. ისინი სასწავლო გეგმის კომპონენტებთან მიმართებაში აისახება სასწავლო გეგმის რუკაში (Curriculum Map), სადაც მითითებულია ათვისების დონეები (1 = გაცნობითი, 2 = პრაქტიკაში გამოყენებადი, 3 = სრულად ათვისებული).

### **2. მონაცემთა შეგროვება:**

მონაცემები გროვდება მრავალ წყაროზე დაყრდნობით—სასწავლო კურსების შეფასებების, პრაქტიკული დავალებების, პრაქტიკის (სტაჟირების) შეფასებებისა და უკუკავშირის გამოკითხვების მეშვეობით. თითოეული კურსი წარმოადგენს სტუდენტის მოსწრების დამადასტურებელ მტკიცებულებას კონკრეტული შედეგების მისაღწევად, რაც სისტემატურად აღირიცხება უნივერსიტეტის ხარისხის მართვის სისტემაში.

### **3. მონაცემთა ანალიზი:**

შეგროვებული მონაცემები ყოველწლიურად გაანალიზდება თვითშეფასების ჯგუფისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. რაოდენობრივი შედეგები (გამოცდების შედეგიანობა, დასრულების მაჩვენებლები) შედარებულია თითოეული სასწავლო შედეგის სამიზნე ნიშნულებთან, ხოლო დაინტერესებული მხარეების მიერ მოწოდებული თვისებრივი მონაცემები განიხილება ტენდენციებისა და გადახედვის საჭიროების მქონე სფეროების დასადგენად.

### **4. ანგარიშგება და გადაწყვეტილების მიღება:**

ანალიტიკური ანგარიშები აჯამებს მიღებულ მიგნებებს, განმარტავს გადახრებს და ადგენს რეკომენდაციებს სასწავლო კურსების შინაარსის, სწავლა-სწავლების მეთოდოლოგიისა და შეფასების პროცედურების მოდიფიცირების მიზნით. აღნიშნული ანგარიშები ინტეგრირდება პროგრამის წლიურ თვითშეფასებაში და წარმოადგენს სტრატეგიული კორექტირებების საფუძველს.

ეს სისტემატური მიდგომა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტების სწავლის ყველა ასპექტი - ცოდნის შექმნა, უნარების განვითარება და პროფესიული კომპეტენცია - კონტროლდებოდეს, დოკუმენტირებული იყოს და შეესაბამებოდეს პროგრამის დასახულ შედეგებს.

### **3. შეფასების შედეგების გამოყენება პროგრამის გაუმჯობესებისთვის**

სწავლის შედეგების შეფასების მიგნებები/მონაცემები არ შემოიფარგლება მხოლოდ დიაგნოსტიკური ფუნქციით; ისინი აქტიურად უწყობს ხელს პროგრამის გაუმჯობესებას. მონაცემთა ანალიზის საფუძველზე:

- სასწავლო კურსების შინაარსი და სწავლა-სწავლების მეთოდები პერიოდულად განახლდება, ხელი შეუწყოს პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტიანი მიღწევას.
- შეფასების სქემები იხვეწება, რათა გაუმჯობესდეს გაზომვის სიზუსტე და შეფასების სამართლიანობა.
- პრერეკვიზიტების სტრუქტურა კორექტირდება, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საბაზისოდან მოწინავე თემებზე თანმიმდევრული პროგრესია.
- რესურსები და პრაქტიკის (სტაჟირების) კომპონენტები განიცდის ოპტიმიზაციას, რათა გაძლიერდეს პრაქტიკული და ინდუსტრიაზე ორიენტირებული უნარების განვითარება.
- დაინტერესებული მხარეების, განსაკუთრებით დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების, უკუკავშირი ინტეგრირებულია სასწავლო გეგმის განახლებებში, რათა უზრუნველყოფილი იყოს მისი შესაბამისობა შრომის ბაზრის ცვლადად საჭიროებებთან.

წლიური ანგარიშები განიხილება ფაკულტეტისა და დეპარტამენტის სხდომებზე, სადაც რეკომენდაციები გადაიხედება მიიღება გადაწყვეტილებები. ეს გადაწყვეტილებები „დახურავს ციკლს“ შეფასების შედეგების მიზნობრივ გაუმჯობესებებთან დაკავშირებით, რაც ასახავს ხარისხის უზრუნველყოფისადმი დინამიურ და მტკიცებულებებზე დაფუძნებულ მიდგომას.

### **4. სტანდარტთან შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება**

პროგრამა სრულად შეესაბამება აკრედიტაციის სტანდარტს „პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმების“ შესახებ. მისი შეფასების სისტემა აკმაყოფილებს ყველა ძირითად მოთხოვნას:

- **განსაზღვრული მექანიზმები:** მკაფიო დოკუმენტაცია განსაზღვრავს შედეგების შეფასების ეტაპებს, მონაწილეებს და ინსტრუმენტებს.
- **მტკიცებულებებზე დაფუძნებული შეფასება:** როგორც პირდაპირი, ასევე არაპირდაპირი მტკიცებულებები უზრუნველყოფს შედეგების ვალიდურობას და სანდოობას.
- **სისტემატური მონაცემთა ანალიზი:** რეგულარული შეფასებისა და ანგარიშების ციკლები ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკაშია გათვალისწინებული.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა** აკადემიური პერსონალი, სტუდენტები, დამსაქმებლები და კურსდამთავრებულები მონაწილეობენ უკუკავშირისა და განხილვის პროცესებში.

- **მუდმივი გაუმჯობესება:** შედეგები მუდმივად გამოიყენება სასწავლო გეგმის კორექტირებისთვის, მიზნების დასახვეწად და სწავლა-სწავლების პრაქტიკის გასაუმჯობესებლად.

ამრიგად, პროგრამის შეფასების მექანიზმები ინტეგრირებული, გამჭვირვალე და შედეგებზე ორიენტირებულია, რაც ადასტურებს ჩამოყალიბებულ ხარისხის კულტურას, რომელიც შესაბამისობაშია ევროპულ და ეროვნულ სტანდარტებთან. პროცესი ხელს უწყობს მონაცემებზე დაფუძნებული გადაწყვეტილებების მიღებას და უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულთა კომპეტენციები ასახავდეს როგორც აკადემიურ სრულყოფილებას, ისე პროფესიულ მზაობას.

მოცემულ პროგრამაში სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები მკაფიოდ არის განსაზღვრული, სისტემატურად ხორციელდება და მუდმივად იხვეწება. ისინი უზრუნველყოფს, რომ პროგრამა დარჩეს მიზნებთან შესაბამისობაში, ინდუსტრიის განვითარებაზე რეაგირებადი და აკადემიური ხარისხისა და აქტუალობისადმი ერთგული. მტკიცებულებები ადასტურებს უმაღლესი განათლების ხარისხის მართვის აკრედიტაციის სტანდარტებთან და საუკეთესო პრაქტიკასთან სრულ შესაბამისობას.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ (სასწავლო გეგმა და სილაბუსები).
- სწავლის შედეგების შეფასების სქემა (პირდაპირი/არაპირდაპირი მეთოდებითა და საორიენტაციო მაჩვენებლებით).
- სასწავლო გეგმის რუკა (სწავლის შედეგების კონკრეტულ სასწავლო კურსებთან მიბმით და ათვისების დონეების მითითებით).
- სწავლის შედეგების შეფასების წლიური ანგარიშები (ანალიზი და კორექტირებითი ქმედებები).
- დაინტერესებული მხარეების მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტები (დამსაქმებლებთან და კურსდამთავრებულებთან კონსულტაციების ოქმები).
- **შრომის ბაზრის კვლევა და კურსდამთავრებულთა დასაქმების მონაცემები.**
- პროგრამის თვითშეფასების ანგარიში და ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მიმოხილვის დოკუმენტები.

#### **რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **შეფასება**

კომპონენტი	შეფასება
1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	შესაბამისობაშია

**1.4. საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი**

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განხორციელების მეთოდოლოგიის შესაბამისად.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**1. პროგრამის დიზაინი უმაღლესი სასწავლებლის მეთოდოლოგიის შესაბამისად**

საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ შემუშავებულია აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (ATSU) საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, დიზაინისა და განვითარების შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად. ეს მეთოდოლოგია განსაზღვრულია „საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკით – EP-QA“ (აკადემიური საბჭოს რეზოლუცია #49(17/18), 2018 წლის 9 თებერვალი). პოლიტიკა ხელს უწყობს შედეგზე ორიენტირებული პროგრამების შექმნას, რომლებიც შეესაბამება ევროპის უმაღლესი განათლების სივრცის (EHEA) სტანდარტებსა და ეროვნული აკრედიტაციის კრიტერიუმებს.

პროგრამის თვითშეფასების პროცესი ადასტურებს, რომ მისი დიზაინი (კონსტრუირება) განხორციელდა აღნიშნული ინსტიტუციური ჩარჩოს შესაბამისად და მოიცავდა როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებს — აკადემიურ ექსპერტებთან, ინდუსტრიის წარმომადგენლებთან, კურსდამთავრებულებთან და სტუდენტებთან. ბრატისლავას სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში მსგავს პროგრამებთან შედარებამ უზრუნველყო საერთაშორისო შედარებადობა და ბოლონის პროცესის პრინციპების დაცვა. ამასთან, პროგრამა ეფუძნება ევროპულ კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების სისტემას (ECTS), რაც უზრუნველყოფს სასწავლო სამუშაოს მოცულობის, სტუდენტური დატვირთვისა და სწავლის შედეგების გამჭვირვალობას.

ამრიგად, პროგრამის დიზაინის ეტაპი გამოირჩევა მკაფიო მეთოდოლოგიური თანმიმდევრულობით, რადგან აერთიანებს ATSU-ის შიდა რეგულაციებს ეროვნულ და ევროპულ სტანდარტებთან აკადემიური ხარისხისა და აქტუალობის უზრუნველსაყოფად.

**2. პროგრამის სტრუქტურის თანმიმდევრულობა და ლოგიკა**

პროგრამის სტრუქტურა არის თანმიმდევრული, ეტაპობრივი და ლოგიკურად ორგანიზებული, რაც უზრუნველყოფს საბაზისო ცოდნიდან სპეციალიზებულ ცოდნაზე თანდათანობით გადასვლას. პროგრამა მოიცავს 240 ECTS კრედიტს რვა სემესტრის განმავლობაში, მათ შორის — 195 კრედიტი ეთმობა ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კურსებს და 45 კრედიტი თავისუფალ კომპონენტებს, რომლებიც მიმართულია ზოგადი და ტრანსფერული (გადაცემადი) უნარების განვითარებაზე.

სასწავლო გეგმა იწყება შესავალი და ფუნდამენტური საგნებით — მათემატიკით, ფიზიკით, ქიმიითა და საინჟინრო ხატვით — რასაც მოჰყვება მასალების დამუშავების, სამრეწველო ტექნოლოგიების, ხარისხის მენეჯმენტისა და ტექნიკური ექსპერტიზის პროფესიული კურსები. ეს ლოგიკური თანმიმდევრობა ხელს უწყობს კუმულაციურ სწავლებას, სადაც თითოეული ეტაპი ეფუძნება ადრე შეძენილ ცოდნასა და უნარებს. სასწავლო კურსების ეტაპობრივად გასავლელად პრერეკვიზიტები მკაფიოდ არის განსაზღვრული, რაც უზრუნველყოფს აკადემიურ უწყვეტობასა და სტუდენტების სათანადო მომზადებას.

შემდგომ სემესტრებში სტუდენტები პრაქტიკულ ტრენინგებსა და საწარმოო სტაჟირებას გადიან, თეორიულ ცოდნას პროფესიულ პრაქტიკასთან აერთიანებენ. ისეთი დიზაინის პროექტების ჩართვა, როგორცაა „მასალების დამუშავების არეალის დაგეგმვა და ხარისხის მართვა“, უზრუნველყოფს გამოცდილებით სწავლას და ხელს უწყობს ინოვაციებს, რაც აკმაყოფილებს როგორც აკადემიურ, ასევე ინდუსტრიულ მოლოდინებს.

### **3. შინაარსი და სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას**

პროგრამის შინაარსი პირდაპირ ემთხვევა განსაზღვრულ სწავლის შედეგებს, რაც უზრუნველყოფს თითოეული კომპეტენციის სფეროს - ცოდნის, უნარებისა და პასუხისმგებლობის/ავტონომიის - სისტემატურ განვითარებას. კურიკულუმის რუკა ცალსახად აკავშირებს ყველა სასწავლო შედეგს შესაბამის კურსებთან, პრაქტიკულ აქტივობებთან და შეფასების მეთოდებთან. „გაცნობილიდან“ „პრაქტიკაში გამოყენებადამდე“ და „სრულად ათვისებულამდე“ პროგრესია ადასტურებს სასწავლო გეგმის დიზაინისა და სწავლის მიზნების პედაგოგიკურად გამართულ შესაბამისობას.

თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების, ლაბორატორიული ტრენინგებისა და სამრეწველო პარტნიორობის ჩართვა აძლიერებს ტექნიკური და ანალიტიკური კომპეტენციების მიღწევას. თეორიული სწავლების, ლაბორატორიული სამუშაოებისა და ინდუსტრიაზე დაფუძნებული პრაქტიკის (სტაჟირების) ერთობლიობა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები არა მხოლოდ შეიძენენ ცოდნას, არამედ განვითარებენ გამოყენებით ექსპერტიზას.

ამასთან, პროგრამის სტრუქტურა განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს სტუდენტზე ორიენტირებულ სწავლების მიდგომებზე, მათ შორის — პროექტზე დაფუძნებულ სამუშაოზე, კოლაბორაციულ სწავლებასა და უწყვეტ შეფასებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტთა აქტიურ ჩართულობას და პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისკენ პროგრესის გაზომვადობას.

### **4. კვალიფიკაციის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან შესაბამისობა**

მისანიჭებელი კვალიფიკაცია — „მასალათმცოდნეობის/მასალების ინჟინერიის ტექნოლოგიის ბაკალავრი“ (ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონე) — სრულად შეესაბამება პროგრამის ფარგლებს, სიღრმესა და სწავლის შედეგებს. კურსდამთავრებულებს მოეთხოვებათ მასალების დამუშავების ტექნოლოგიებისა და სამრეწველო ხარისხის მართვის პრინციპების ყოვლისმომცველი ცოდნა, რაც შეესაბამება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მე-6 დონისთვის განსაზღვრულ კომპეტენციათა პროფილს.

თეორიული და პრაქტიკულ-გამოყენებითი კომპონენტების დაბალანსება უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა მომზადებას როგორც დაუყოვნებლივი დასაქმებისთვის საწარმოო ორგანიზაციებში, ხარისხის მართვის სტრუქტურულ ერთეულებსა და ტექნიკური ექსპერტიზის დაწესებულებებში, ისე სწავლის გასაგრძელებლად სამაგისტრო დონეზე. კვალიფიკაცია ზუსტად ასახავს დარგის ინტერდისციპლინურ ბუნებას, რომელიც მოიცავს ინჟინერიას, მასალათმცოდნეობასა და სამრეწველო მენეჯმენტს და უზრუნველყოფს, რომ კურსდამთავრებულის კომპეტენციები აკმაყოფილებდეს როგორც აკადემიურ, ასევე პროფესიულ სტანდარტებს.

## 5. შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება

თვითშეფასების ანგარიშში მოცემული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამა ადასტურებს სრულ შესაბამისობას აკრედიტაციის კომპონენტთან, რომელიც ეხება „საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურასა და შინაარსს“.

- **დიზაინის შესაბამისობა:** პროგრამა შემუშავდა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის შიდა მეთოდოლოგიის შესაბამისად და ეყრდნობა შედეგებზე ორიენტირებული განათლების ევროპულ და ეროვნულ სტანდარტებს.
- **სტრუქტურული ლოგიკა:** სასწავლო გეგმა გამოირჩევა თანმიმდევრული და პროგრესული სტრუქტურით, მკაფიოდ განსაზღვრული პრერეკვიზიტებითა და კრედიტების დაბალანსებული განაწილებით.
- **შედეგების შესაბამისობა:** შინაარსი, სასწავლო აქტივობები და შეფასებები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს მათი მიღწევის გაზომვადობას.
- **კვალიფიკაციის შესაბამისობა:** მინიჭებული კვალიფიკაცია შეესაბამება შექნილ ცოდნას, უნარებსა და ეროვნული კვალიფიკაციის ჩარჩოს დონეს.
- **დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა** პროგრამის შემუშავების პროცესში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, აკადემიური ექსპერტები და კურსდამთავრებულები, რაც ადასტურებს მის რელევანტურობას/შესაბამისობას შრომის ბაზრისა და საზოგადოებრივი საჭიროებების მიმართ.

პროგრამა ასევე გამოირჩევა ინტერნაციონალიზაციაზე, ინდუსტრიასთან თანამშრომლობასა და უწყვეტ გაუმჯობესებაზე მკაფიო ფოკუსით, რაც აძლიერებს მის შესაბამისობას როგორც ინსტიტუციურ, ისე გარე ხარისხის უზრუნველყოფის მოლოდინებთან.

საგანმანათლებლო პროგრამა ზედმიწევნით სტრუქტურირებული და მეთოდოლოგიურად გამართულია. ის შეესაბამება უნივერსიტეტისა და ეროვნული ხარისხის უზრუნველყოფის მოთხოვნებს, აჩვენებს შიდა თანმიმდევრულობას მიზნებს, შინაარსსა და შედეგებს შორის და ანიჭებს კვალიფიკაციას, რომელიც ზუსტად ასახავს კურსდამთავრებულის კომპეტენციის დონეს. მისი დიზაინი, ლოგიკა და შედეგზე ორიენტირებული სტრუქტურა უზრუნველყოფს სრულ შესაბამისობას აკრედიტაციისა და ევროპული უმაღლესი განათლების სტანდარტებთან.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA (აკადემიური საბჭოს რეზოლუცია #49(17/18), 2018 წლის 9 თებერვალი).
- საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ (სასწავლო გეგმა, სილაბუსები, კრედიტების განაწილება).
- სასწავლო გეგმის / კურიკულუმის რუკა (კურსების დაკავშირება პროგრამის სწავლის შედეგებთან).
- **საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგია.**
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციების ოქმები (სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტთან და დამსაქმებლებთან).
- **ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (მე-6 დონის აღწერილობა).**
- **პროგრამის ინტერნაციონალიზაციისა და ინდუსტრიული თანამშრომლობის დამადასტურებელი საბუთი (მემორანდუმები, სტაჟირების ხელშეკრულებები).**

:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	შესაბამისობაშია

**1.5. სასწავლო კურსი/საგანი**

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.
- ძირითადი ასათვისებელი დარგის სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **1. აკადემიური კურსების შინაარსი და კრედიტების განაწილება**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ ადასტურებს, რომ თითოეული სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და შესაბამისი კრედიტების განაწილება სათანადოდ არის სტრუქტურირებული, რათა უზრუნველყოფილ იქნეს განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევა. პროგრამა ეყრდნობა ინსტიტუციურ და ეროვნულ სტანდარტებს ECTS კრედიტების განაწილების შესახებ, სადაც სტუდენტური დატვირთვა ასახავს როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. თითოეული კურსი მკაფიოდ არის განსაზღვრული დეტალური სილაბუსით, რომელშიც მითითებულია მიზნები, სწავლის შედეგები, შეფასების მეთოდები, სწავლების მიდგომები და სამუშაო დატვირთვის ბალანსი.

სასწავლო გეგმა / კურიკულუმი რვა სემესტრის განმავლობაში გამოყოფს / განსაზღვრავს 240 ECTS კრედიტს, მათ შორის 195 კრედიტს დარგობრივ სავალდებულო კურსებზე და 45 კრედიტს თავისუფალ არჩევით კომპონენტებზე, რაც უზრუნველყოფს როგორც დარგობრივი, ისე ტრანსფერული (გადაცემადი) კომპეტენციების განვითარებას. თითო საგანში კრედიტების რაოდენობა ასახავს მისი შინაარსის სიღრმესა და სირთულეს - მაგალითად, თეორიული კურსები, როგორცაა „მასალების მეცნიერება“ და „ხარისხის მართვის სისტემები“, მოითხოვს ფართო კონცეპტუალურ სწავლებას, ხოლო პრაქტიკული საგნები, როგორცაა „მასალების დამუშავების ობიექტის დაგეგმვა და ხარისხის მენეჯმენტი“, მოიცავს ლაბორატორიულ და პროექტზე დაფუძნებულ აქტივობებს, რომლებიც მოითხოვს დამოუკიდებელი სამუშაო საათების უფრო მეტ რაოდენობას.

ამგვარად, თითოეული საგნის კრედიტების განაწილება მტკიცებულებებზეა დაფუძნებული, რაც უზრუნველყოფს, რომ სტუდენტებს საკმარისი დრო და მხარდაჭერა ჰქონდეთ მოსალოდნელი სასწავლო შედეგების მისაღწევად. სტუდენტური დატვირთვის, კურსის სიღრმისა და შეფასების აქტივობების ურთიერთშესაბამისობა ადასტურებს ECTS კრედიტების რაციონალურ და პედაგოგიკურად გამართულ განაწილებას ევროპული და ქართული უმაღლესი განათლების სტანდარტების შესაბამისად.

### **2. ურთიერთკავშირი კურსისა და პროგრამის დონის სწავლის შედეგებს შორის / ურთიერთკავშირი სასწავლო კურსის დონესა და პროგრამის დონეზე განსაზღვრულ სწავლის შედეგებს შორის**

ძირითადი სასწავლო სფეროს ცალკეული კურსების შინაარსი და სწავლის შედეგები პირდაპირ კავშირშია პროგრამის საერთო სწავლის შედეგებთან. ეს ურთიერთობა ასახულია სასწავლო გეგმის რუკაზე, სადაც თითოეული კურსი კლასიფიცირებულია პროგრამის შედეგების განვითარებაში მისი წვლილის მიხედვით, დაუფლების სამ დონეზე: 1 - გაცნობა, 2 - გაღრმავება, 3 – გაძლიერება. / 1 = გაცნობითი, 2 = პრაქტიკაში გამოყენებადი, 3 = სრულად ათვისებული.

მაგალითად, ფიზიკის, ქიმიისა და მათემატიკის საბაზისო კურსები უზრუნველყოფს ფუნდამენტურ სამეცნიერო ცოდნას, რომელიც აუცილებელია მასალების ფიზიკურ-ქიმიური და მექანიკური თვისებების ანალიზისთვის, და უშუალოდ უჭერს მხარს პროგრამის დონეზე განსაზღვრულ შედეგებს, რომლებიც დაკავშირებულია ტექნიკური ანალიზისა და პრობლემების გადაჭრის კომპეტენციებთან. ისეთი მოწინავე კურსები, როგორცაა „ტექნოლოგიური აღჭურვილობა და სამრეწველო პროცესები“, „პროდუქტის სერტიფიკაცია და ექსპერტიზა“ და

„ხარისხის მენეჯმენტი წარმოების სისტემებში“, სტუდენტებს საშუალებას აძლევს, თეორიული ცოდნა რეალურ სამრეწველო სცენარებში გამოიყენონ, რაც უზრუნველყოფს პროფესიულ კომპეტენციასთან, გადაწყვეტილების მიღებასთან და ტექნოლოგიურ ინოვაციებთან დაკავშირებული შედეგების დაუფლებას.

პრაქტიკული სწავლებისა და სტაჟირების კომპონენტები დამატებით აძლიერებს აღნიშნული შედეგების ინტეგრაციას და სტუდენტებს შესაძლებლობას აძლევს, მტკიცებულებებზე დაფუძნებულად წარმოაჩინონ აკადემიური ცოდნის რეალურ ინდუსტრიულ პრობლემებზე ეფექტიანი გამოყენების უნარი. შესაბამისად, კურსის შედეგების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია უზრუნველყოფს თანმიმდევრულ სასწავლო გზას, სადაც თითოეული კომპონენტი კუმულაციურად აყალიბებს კურსდამთავრებულის კომპეტენციას პროფილს.

### **3. სასწავლო მასალები და სილაბუსები სწავლების შედეგების მხარდასაჭერად**

საგნის სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალები — მათ შორის სახელმძღვანელოები, სამეცნიერო სტატიები, ტექნიკური სტანდარტები და ციფრული სასწავლო რესურსები — არის თანამედროვე, დარგობრივი და ხელმისაწვდომია ყველა სტუდენტისთვის ATSU ბიბლიოთეკის (როგორც ბეჭდური, ასევე ელექტრონული კოლექციების) მეშვეობით. თითოეულ სილაბუსში განსაზღვრულია სავალდებულო და დამატებითი ლიტერატურა, რომელიც შესაბამისობაშია კურსის სწავლის შედეგებთან და ასახავს მასალათმცოდნეობის/მასალების ინჟინერიის, სამრეწველო ტექნოლოგიებისა და ხარისხის მართვის სფეროებში არსებულ უახლეს მიღწევებს.

აღნიშნული რესურსები უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები გაეცნონ თანამედროვე კვლევებს, საერთაშორისო სტანდარტებს (ISO, EN) და შემთხვევათა ანალიზს, რომლებიც თეორიულ ცოდნას პრაქტიკულ გამოყენებასთან აკავშირებს. მაგალითად, კურსებში „სამრეწველო ტექნოლოგიური პროცესები“ და „მასალების გამოცდის მეთოდები“ გამოყენებული ლიტერატურა სტუდენტებს აცნობს თანამედროვე ანალიტიკურ ინსტრუმენტებსა და ხარისხის კონტროლის ტექნიკებს, რაც ხელს უწყობს ზუსტი გაზომვის, შეფასებისა და პროცესების ოპტიმიზაციის მიმართულებით კომპეტენციების განვითარებას.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის მიერ გამოყენებული ელექტრონული და ციფრული პლატფორმები, როგორცაა ელექტრონული დეკანატის ოფისი და ATSU-ს ბიბლიოთეკის პორტალი, უზრუნველყოფს სასწავლო მასალებზე უწყვეტ წვდომას, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ სწავლასა და კვლევას. მასალების ფრთხილად შერჩევა და მრავალფეროვნება იძლევა იმის გარანტიას, რომ სტუდენტებს შეუძლიათ ეფექტურად მიაღწიონ როგორც კურსის სპეციფიკურ, ასევე პროგრამის მასშტაბით სასწავლო შედეგებს.

### **4. შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება**

თვითშეფასების ანგარიშიდან მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე, პროგრამა სრულად აკმაყოფილებს კომპონენტს „აკადემიური კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები“.

- **შინაარსობრივ-შედეგობრივი შესაბამისობა:** თითოეული კურსი დაგეგმილია სილაბუსში განსაზღვრული სწავლების შედეგების მისაღწევად, რომლებიც პირდაპირ გამომდინარეობს პროგრამის ზოგადი და კონკრეტული შედეგებიდან. კურსის მიზნების, შინაარსისა და შეფასების კრიტერიუმების დეტალური აღწერა უზრუნველყოფს, რომ მოსალოდნელი შედეგები იყოს გაზომვადი და მიღწევადი.

- **კრედიტების თანხვედრა:** ECTS-ზე დაფუძნებული სასწავლო დატვირთვის განაწილება ლოგიკურია და ასახავს თითოეული საგნის სირთულესა და მასშტაბს. სტუდენტების საერთო დატვირთვა მოიცავს თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით აქტივობებს, რომლებიც დაბალანსებულია ინსტიტუციური და ევროპული სტანდარტების შესაბამისად.
- **შედეგების ინტეგრაცია:** კურსისა და პროგრამის შედეგებს შორის ურთიერთკავშირი უზრუნველყოფილია სასწავლო გეგმის რუკის (კურიკულუმის რუკის) მეშვეობით, რომელიც განსაზღვრავს, თუ სად და როგორ ხდება თითოეული შედეგის დანერგვა, პრაქტიკაში გამოყენება და ათვისება.
- **რესურსების ადეკვატურობა:** სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალები — განახლებული სახელმძღვანელოები, ტექნიკური სტანდარტები და მულტიმედია რესურსები — სათანადოდ უჭერს მხარს სასწავლო მიზნებს და ასახავს უახლეს ტექნოლოგიურ და სამეცნიერო პროგრესს.
- **შეფასების შესაბამისობა:** თითოეულ სილაბუსში განსაზღვრული შეფასების რუბრიკები და შეფასების მეთოდები უზრუნველყოფს როგორც კურსის, ისე პროგრამის შედეგების მიღწევის გაზომვას. შეფასების ფორმები მოიცავს თეორიულ გამოცდებს, ლაბორატორიულ სამუშაოებს, პროექტის დაცვას და ზეპირ პრეზენტაციებს, რაც შესაბამეა საგნის ბუნებას.

შეჯამებისთვის, პროგრამა წარმოადგენს თანმიმდევრულ, შედეგებზე დაფუძნებულ სასწავლო გეგმის დიზაინს, რომელიც აერთიანებს აკადემიურ თეორიას, პრაქტიკულ სწავლებასა და კვლევით აქტივობებს. კურსის შინაარსის, სტუდენტის დატვირთვისა და შეფასების მექანიზმების თანხვედრა უზრუნველყოფს, რომ სტუდენტები დაეუფლონ მასალების ინჟინერიის ტექნოლოგიის საბაკალავრო პროგრამით (დონე 6) განსაზღვრულ საკვალიფიკაციო კომპეტენციებს. სასწავლო მასალების მუდმივი განახლება და დამსაქმებლებისგან მიღებული უკუკავშირის გათვალისწინება ადასტურებს პროგრამის შესაბამისობას როგორც აკადემიურ სტანდარტებთან, ასევე შრომის ბაზრის საჭიროებებთან.

პროგრამის აკადემიური კურსის შინაარსი, კრედიტების სტრუქტურა და სასწავლო მასალები ნათლად არის შემუშავებული ისე, რომ უზრუნველყოფილი იყოს როგორც კურსის, ასევე პროგრამის დონის სასწავლო შედეგების მიღწევა. კურსების ლოგიკური თანმიმდევრობა, თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების ინტეგრაცია და სწავლის შედეგების შესაბამისობა კრედიტების ონასა / შეწონვასა და შეფასების მეთოდებთან ერთად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო თანმიმდევრულობას. პროგრამა აკმაყოფილებს აკრედიტაციის კომპონენტის ყველა მოთხოვნას და უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ, თანამედროვე და შედეგზე ორიენტირებულ განათლებას, რომელიც შეესაბამება ეროვნულ და ევროპულ ხარისხის უზრუნველყოფის სტანდარტებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ (სასწავლო გეგმა, სტრუქტურა და კურსების სილაბუსები).

- სასწავლო გეგმის რუკა (კურსების პროგრამის სწავლის შედეგებთან და დაუფლების ღონებთან დაკავშირება).
- აწსუ-ს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა – EP-QA (რეზოლუცია #49(17/18), 09.02.2018).
- საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და გაუმჯობესების მეთოდოლოგია.
- აწსუ-ს ბიბლიოთეკის კატალოგი და ელექტრონული პორტალი – <https://library.atsu.edu.ge/ge/home>
- კურსის შეფასების რუბრიკები და შეფასების კრიტერიუმები.
- დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციებისა და სასწავლო გეგმის შემუშავების მხვედრების ოქმები.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b><u>1.5. სასწავლო კურსი/საგანი</u></b>	შესაბამისობაშია
<b>2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზაცია, პროგრამის დაუფლების ადეკვატურობის შეფასება</b>	
პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.	
<b>2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები</b>	
უსდ- ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.	

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### აღწერა

მიღების წინაპირობები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის შიდა დებულების შესაბამისად. მოთხოვნები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებსა და სწავლების შედეგებთან, რაც უზრუნველყოფს სწავლის ლოგიკურ პროგრესირებას და ყველა აპლიკანტისთვის თანაბარ, არადისკრიმინაციულ ხელმისაწვდომობას.

საქართველოს მოქალაქეთა მიღება ხორციელდება ერთიანი ეროვნული გამოცდების საფუძველზე, ხოლო საერთაშორისო აპლიკანტებისა და მობილობის წესით გადმომსვლელი სტუდენტების მიღება რეგულირდება დაწესებულებისა და ეროვნული რეგულაციების შესაბამისად დადგენილი პროცედურებით. უნივერსიტეტი პროგრამის სტრუქტურის, შინაარსის, სწავლების მეთოდებისა და კარიერული პერსპექტივების შესახებ ამომწურავი ინფორმაციის მიწოდებას ახდენს საკუთარი ვებგვერდის, საინფორმაციო მასალების, ღია კარის დღეებისა და სკოლებში მიზნობრივი საინფორმაციო-გაცნობითი შეხვედრების მეშვეობით.

წლიური მიღება განისაზღვრება ინსტიტუციური მეთოდოლოგიის გამოყენებით, რომელიც ითვალისწინებს პერსონალის შესაძლებლობებს, მატერიალურ რესურსებს და შრომის ბაზართან შესაბამისობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აპლიკანტთა რაოდენობა 405 -დან 600 -მდე მერყეობდა, ხოლო პროგრამა მზარდად ფიქსირდება აპლიკანტთა პრიორიტეტულ არჩევანებში. პროგრამა განსაკუთრებით რელევანტურია იმ რეგიონებისთვის, სადაც განვითარებულია წარმოებისა და ტექნიკური ინსპექტირების სექტორები, ხოლო უნივერსიტეტი დასავლეთ საქართველოს სკოლებში სისტემურად ახორციელებს ცნობიერების ამაღლებისა და პროფორიენტაციის ღონისძიებებს.

### ანალიზი

მიღების პროცედურები გამჭვირვალეა, სამართლიანი და სრულად შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას. აღნიშნული პროცედურები უზრუნველყოფს, რომ პროგრამაზე ჩარიცხული სტუდენტები აკმაყოფილებდნენ იმ საბაზისო მოთხოვნებს, რომლებიც აუცილებელია განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად.

ჩარიცხვის მონაცემები სტაბილურ და მზარდ ინტერესზე მიუთითებს: 2022 წელს ჩაირიცხა 12 სტუდენტი, 2023 წელს - 29, ხოლო 2024 წელს - 21. მობილობის მაჩვენებლები (შიდა და გარე) ასევე ასახავს პროგრამის მიმზიდველობას და მის დადებით რეპუტაციას.

დამსაქმებელთა გამოკითხვის შედეგები ადასტურებს შრომის ბაზართან მაღალი ხარისხის შესაბამისობას:

- 96% მნიშვნელოვნად აფასებს მასალების თვისებების შესახებ ცოდნას;
- 95% პრიორიტეტად ასახელებს ხარისხის მართვისა და პროცესების მონიტორინგის უნარებს;
- 90%-ზე მეტი ხაზს უსვამს ტექნოლოგიური პროცესების გააზრების/ცოდნის მნიშვნელობას.

ეს მოლოდინები პირდაპირ შეესაბამება პროგრამის პროფილს და მის მიღების მოთხოვნებს.

გამოიკვეთა მცირე ხარვეზი:

პირველი კურსის სტუდენტთა შეფასების მიხედვით, აპლიკანტთა მცირე ნაწილს მათემატიკასა და ფიზიკაში არასაკმარისი მომზადება აქვს, რაც შესაძლოა აფერხებდეს ტექნიკურად ორიენტირებულ სასწავლო კურსებში შეუფერხებელ ინტეგრაციას.

უნივერსიტეტმა უკვე დაიწყო რისკის შემამსუბუქებელი ღონისძიებების განხორციელება, მათ შორის:

- მოსამზადებელი მოდულები;
- ინდივიდუალური აკადემიური კონსულტაციები;
- დამატებითი მხარდამჭერი სასწავლო კურსები.

ეს წარმოადგენს მცირე, არაკრიტიკულ შეუსაბამობას შემდეგ მოთხოვნებთან:

- ESG 1.3 – სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება,
- NCEQE სტანდარტი 2 – პროგრამის სწავლის შედეგები

და საჭიროებს არსებული დამხმარე მექანიზმების მხოლოდ მცირე გაუმჯობესებას.

საერთო ჯამში, პროგრამაში გამოსატულია მიღების რეგულაციების სრული დაცვა, შრომის ბაზართან მკაფიო შესაბამისობა და საზოგადოებრივი ინტერესის შენარჩუნება.

## **შესავალი რეკომენდაცია**

- რეკომენდებულია, ძირითად ტექნიკურ საგნებში გაძლიერდეს მხარდაჭერის ინიციატივები, იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სათანადო აკადემიური მომზადება პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.

## **შეფასება**

მიღების წინაპირობები სრულად შეესაბამება საკანონმდებლო მოთხოვნებს და ეფექტურად უჭერს მხარს პროგრამის მიზნებს. გამჭვირვალობა, სამართლიანობა და აპლიკანტებთან ეფექტიანი კომუნიკაცია უზრუნველყოფილია. პროგრამა იზიდავს მაღალი მოტივაციის მქონე აპლიკანტებს და ხასიათდება მზარდი ცნობადობით.

ერთი უმნიშვნელო რეკომენდაციის არსებობის გათვალისწინებით, კომპონენტი შეფასებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობის დონე: მეტწილი (სათანადო) შესაბამისობა.

## **მტკიცებულება/ინდიკატორები**

- სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები (ESG 1.7; ESG 1.9; სტანდარტი 7)
- სწავლის შედეგების ანალიზი (ESG 1.3; ESG 1.9; სტანდარტი 2)
- კურსდამთავრებულთა კარიერული ტრაექტორიის მონიტორინგის შედეგები (ESG 1.7; სტანდარტი 7)
- შრომის ბაზრის კვლევა (ESG 1.7; ESG 1.9; სტანდარტი 2)

## **რეკომენდაციები.**

რეკომენდაცია — ESG 1.3; NCEQE სტანდარტი 2

- რეკომენდებულია, ძირითად ტექნიკურ საგნებში გაძლიერდეს მხარდაჭერის ინიციატივები, იმისათვის, რომ სტუდენტებმა მიიღონ სათანადო აკადემიური მომზადება პროგრამის წარმატებით დასრულებისთვის.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, უნივერსიტეტმა რეგიონულ სკოლებში ჩაატაროს საონფორმაციო შეხვედრები, იმისათვის, რომ მოიზიდოს მრავალფეროვანი აპლიკანტები.
- სასურველია, პირველკურსელი სტუდენტებისთვის გაფართოვდეს საორიენტაციო შეხვედრები.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	მეტწილად შესაბამისობაშია

## 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /სამემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

სწავლის შედეგების შესაბამისად, პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ შემოქმედებითი/ სამოქმედო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

## აღწერა

პროგრამა შექმნილია სტუდენტების პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებისთვის, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის სწავლის შედეგებთან. ის მოიცავს ლაბორატორიულ სწავლებას, პროექტებზე ორიენტირებულ სწავლებას, ინდივიდუალურ და ჯგუფურ კვლევით დავალებებს და შემოქმედებით აქტივობებს.

პრაქტიკული ტრენინგი ხორციელდება როგორც უნივერსიტეტში, ასევე პარტნიორ საწარმოებში. სულ 54 სტუდენტმა გაიარა აკადემიური პრაქტიკა, ხოლო სამრეწველო სტაჟირების ორი ციკლი მოიცავდა თითოეულ ჯერზე 9 სტუდენტს, რაც ინდუსტრიულ პარტნიორებთან გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმების საფუძველზე უზრუნველყოფდა რეალურ სამუშაო გარემოში გამოცდილების მიღებას.

დამსაქმებელთა გამოკითხვები მიუთითებს შრომის ბაზართან ძლიერ შესაბამისობაზე:

- 96% პრიორიტეტად ასახელებს კურსდამთავრებულთა მასალების თვისებების შესახებ ცოდნას;
- 95% ხაზს უსვამს წარმოებითი პროცესების მონიტორინგისა და ხარისხის მართვის კომპეტენციებს;
- 90%-ზე მეტი მნიშვნელოვნად აფასებს ტექნოლოგიური პროცესების გააზრებას/ცოდნას.

სტუდენტები ასევე მონაწილეობენ სამეცნიერო კონფერენციებში (9 პრეზენტაცია) და უნივერსიტეტის მიერ დაფინანსებულ სამ საგრანტო პროექტში, რაც ხელს უწყობს კვლევაზე ორიენტირებული სასწავლო გარემოს განვითარებას.

## ანალიზი

პროგრამა წარმატებით აერთიანებს თეორიულ, პრაქტიკულ და კვლევით კომპონენტებს, რაც უზრუნველყოფს როგორც ინდუსტრიული, ასევე აკადემიური კონტექსტებისთვის აუცილებელი უნარების განვითარებას. ლაბორატორიული სამუშაოები, პროექტები და სტაჟირება უზრუნველყოფს გამოყენებით სწავლებას და აძლიერებს თანამშრომლობით მუშაობისა და პრობლემათა დამოუკიდებლად გადაჭრის კომპეტენციების განვითარებას.

აკადემიური პერსონალი წარმოაჩენს მაღალ კვლევით პოტენციალს: ბოლო ხუთი წლის განმავლობაში 124 სამეცნიერო პროდუქტი (პუბლიკაციები და სხვა სამეცნიერო ნაშრომები). ეს ქმნის კვლევისთვის ხელსაყრელ სასწავლო გარემოს და ხელს უწყობს სწავლების ხარისხსა და შესაბამისობას.

გამოიკვეთა მცირე ხარვეზი:

სტუდენტთა მონაწილეობა კვლევითი შედეგების დისემინაციაში (გავრცელებაში) — განსაკუთრებით თანაავტორობით პუბლიკაციებში, საერთაშორისო კონფერენციებზე მოხსენებებში ან სრულფასოვან კვლევით ციკლებში ჩართულობის მიმართულებით — კვლავ შეზღუდულია.

მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები მონაწილეობენ კონფერენციებსა და საგრანტო აქტივობებში, მათი ჩართულობა კვლავ ძირითადად საწყის დონეზე კონცენტრირდება.

ეს წარმოადგენს მცირე, არაკრიტიკულ შეუსაბამობას

- ESG 1.3-თან – სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებასთან და
- NCEQE სტანდარტ 2-თან – პროგრამის სასწავლო შედეგებთან

და მისი მოგვარება შესაძლებელია კვლევის მენტორობის მექანიზმების ზომიერი გაძლიერებით.

პრაქტიკული მომზადების შედეგები და დამსაქმებელთა უკუკავშირი ადასტურებს პროგრამის აქტივობებსა და შრომის ბაზრის მოლოდინებს შორის მაღალ შესაბამისობას.

## შესავალი რეკომენდაცია

რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში, პუბლიკაციებში, საკონფერენციო პრეზენტაციებში და საგრანტო აქტივობებში.

## შეფასება

პროგრამა ეფექტურად უზრუნველყოფს პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი, შემოქმედებითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. იგი გთავაზობთ ძლიერ ლაბორატორიულ გამოცდილებას, მყარ ინდუსტრიულ პარტნიორობას და მნიშვნელოვან კვლევითი ჩართულობის შესაძლებლობებს. სტუდენტები აჩვენებენ სწავლის შედეგების მიღწევის სტაბილურ ინდიკატორებს, ხოლო დამსაქმებელთა უკუკავშირი ადასტურებს პროგრამის ფარგლებში განვითარებული კომპეტენციების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობას.

ვინაიდან იდენტიფიცირებულია ერთი უმნიშვნელო რეკომენდაცია, კომპონენტი შეფასებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობის დონე: მეტწილი (სათანადო) შესაბამისობა.

## მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სემესტრული სასწავლო დატვირთვის ანალიზი (ESG 1.2; 1.3; სტანდარტი 2)
- სტუდენტებისა და დამსაქმებლების გამოკითხვები (ESG 1.7; 1.9; სტანდარტი 7)
- კვლევითი საქმიანობის ანგარიშები (ESG 1.5; 1.9; სტანდარტი 5)
- მემორანდუმები ინდუსტრიულ პარტნიორობებთან (ESG 1.6; სტანდარტი 7)
- სწავლის შედეგების შეფასების ანგარიშები (ESG 1.3; სტანდარტი 2)

## რეკომენდაციები.

რეკომენდაცია ESG 1.3; NCEQE სტანდარტი 2

- რეკომენდებულია, გაძლიერდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები, იმისათვის, რომ გაუმჯობესდეს სტუდენტების მონაწილეობა კვლევით პროექტებში, პუბლიკაციებში, საკონფერენციო პრეზენტაციებში და საგრანტო აქტივობებში.

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, სტუდენტებისთვის შემუშავდეს შიდა კვლევითი ვორქშოფები და წერის ლაბორატორიები.
- სასურველია, გაფართოვდეს ინტერდისციპლინური და პროექტზე დაფუძნებული სწავლება სხვა ფაკულტეტებთან თანამშრომლობით.
- სასურველია, წახალისდეს სტუდენტების მონაწილეობა ინოვაციურ კონკურსებში ან შემოქმედებით გამოფენებში.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<b>2.2.</b> პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი/ მეთწილად შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობაშია

**2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები**

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება განათლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა**

პროგრამის სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია ეფუძნება სტუდენტზე ორიენტირებული და შედეგებზე დაფუძნებული სწავლების (OBL) პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს კურსის მიზნებისა და მოსალოდნელი სასწავლო შედეგების ეფექტურ მიღწევას. გამოიყენება სწავლების მრავალფეროვანი მიდგომები, მათ შორის ლექციები, სემინარები, ლაბორატორიული და პრაქტიკული სამუშაოები, ინდივიდუალური დავალებები, პროექტებზე დაფუძნებული სწავლება და შემთხვევების (ქეისების) ანალიზზე ორიენტირებული ფორმატები მეთოდოლოგიური მრავალფეროვნება ხელს უწყობს ანალიტიკური, პრაქტიკული, კომუნიკაციური და გადაწყვეტილების მიღების უნარების განვითარებას.

პროგრამის პროფილის — წარმოების ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა — გათვალისწინებით, სწავლების პროცესი მოიცავს როგორც საერთაშორისო, ასევე ადგილობრივ რეგულაციებს (ISO, GOST, ASTM და სხვა სტანდარტები), რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს, შეისწავლონ ხარისხის მართვის სისტემები შესაბამის პროფესიულ კონტექსტში.

ლაბორატორიული და პრაქტიკული კომპონენტები მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. სტუდენტები ასრულებენ პრაქტიკაზე ორიენტირებულ დავალებებს როგორც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში, ასევე პარტნიორ საწარმოებში, რაც უზრუნველყოფს თეორიული ცოდნის ტრანსფერს რეალურ სამუშაო გარემოში. ბოლო

ხუთი წლის განმავლობაში, სტუდენტების მოსწრების შედეგები შემდეგნაირად გადანაწილდა: 10% - ფრიადი, 70% - კარგი, 20% - დამაკმაყოფილებელი.

ციფრული და ჰიბრიდული სწავლების ფორმატები — როგორცაა ელექტრონული სწავლების პლატფორმები, ვიდეოლექციები და ინტერაქტიური სიმულაციები — ინტეგრირებულია მოქნილობის გასაძლიერებლად და განსხვავებული სასწავლო საჭიროებების მხარდასაჭერად. ვირტუალური ლაბორატორიული გარემო ამჟამად შემუშავების პროცესშია და თანდათანობით აფართოებს პრაქტიკაზე დაფუძნებული სწავლების კომპონენტებზე წვდომას.

სტუდენტები ასევე მონაწილეობენ სამეცნიერო აქტივობებში, მათ შორის უნივერსიტეტში გამართულ კონფერენციებში (9 მონაწილე), საგრანტო დაფინანსებით განხორციელებულ პროექტებში (3 მონაწილე) და საჯარო ან პროფესიულ გამოფენებში, რაც ერთობლიობაში ხელს უწყობს მათი კვლევითი კომუნიკაციისა და აკადემიური წერის უნარების გაძლიერებას.

#### ანალიზი

პროგრამა ეფექტურად აერთიანებს თეორიულ და პრაქტიკულ სწავლებას ლაბორატორიული სამუშაოების, გუნდური პროექტებისა და ინდივიდუალური კვლევითი დავალებების მეშვეობით. სწავლების მეთოდები შეესაბამება OBL მოდელს, რაც უზრუნველყოფს, რომ თითოეული სასწავლო აქტივობა და შეფასების კრიტერიუმი პირდაპირ შეესაბამებოდეს კონკრეტულ დაგეგმილ სასწავლო შედეგებს, რითაც იზრდება გამჭვირვალობა და ობიექტურობა შეფასების პროცესში.

ციფრული და დისტანციური სწავლების ფორმატები ეტაპობრივად გაფართოვდა, რაც ზრდის ხელმისაწვდომობას და ეფექტიანად პასუხობს როგორც რეგიონებში მცხოვრები, ისე დასაქმებული სტუდენტების საგანმანათლებლო საჭიროებებს. სტუდენტების უკუკავშირი მუდმივად ასახავს კმაყოფილებას პრაქტიკული მაგალითებით, შემთხვევაზე დაფუძნებული სწავლებითა და პროექტებზე დაფუძნებული მიდგომებით.

გამოვლინდა მცირე განსავითარებელი ასპექტი: — სტუდენტთა თვითშეფასების მიხედვით, საერთაშორისო სტანდარტების (მაგ., ISO, ASTM) პრაქტიკაში გამოყენების მიმართ თავდაჯერებულობის დონე კოჰორტებს შორის მერყეობს. აღნიშნული მერყეობა ტექნიკური პროფილის მქონე პროგრამებისთვის ბუნებრივია და ძირითადად განპირობებულია სწავლის პროცესში დაგროვილი გამოცდილების განსხვავებული დონით, ვიდრე სისტემური ხარვეზით.

აღნიშნული წარმოადგენს ბუნებრივი განვითარების არეას (მიმართლებას) და არ იწვევს აკრედიტაციის სტანდარტებთან შეუსაბამობას, ვინაიდან შესაბამისი სასწავლო რესურსები, მოდულები და პრაქტიკული აქტივობები უკვე ინტეგრირებულია, სისტემურად ხორციელდება და ეფექტიანად ფუნქციონირებს.

საერთო ჯამში, პროგრამის სწავლა-სწავლების მეთოდები თანამედროვეა, მკაფიოდ სტრუქტურირებული და ეფექტიანად პასუხობს შრომის ბაზრის მოლოდინებს.

## შეფასება

სწავლებისა და სწავლის მეთოდოლოგია სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მოთხოვნებს. იგი ასახავს სტუდენტზე ორიენტირებულ, მოქნილ და შედეგზე ორიენტირებულ პრინციპებს და ეფექტურად აერთიანებს პრაქტიკულ, ციფრულ და კვლევით კომპონენტებს.

ვინაიდან გამოვლენილი საკითხები წარმოადგენს განსავითარებელ მიმართულებებს და არა შესაბამისობის ხარვეზებს, კომპონენტი შეფასებულია, როგორც:

შესაბამისობის დონე: სრული შესაბამისობა / სრულად შეესაბამება

## მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სემესტრული სასწავლო დატვირთვის ჩანაწერები (ESG 1.2; ESG 1.3; NCEQE სტანდარტი 2)
- სტუდენტებისა და პერსონალის გამოკითხვის შედეგები (ESG 1.7; ESG 1.9; NCEQE სტანდარტი 7)
- სწავლის შედეგების შეფასების შეჯამებები (ESG 1.4; NCEQE სტანდარტი 4)
- კურსის სილაბუსები და ლაბორატორიული რესურსების დოკუმენტაცია (ESG 1.3; NCEQE სტანდარტი 6)
- აკადემიური პერსონალის კომპეტენციები და კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ESG 1.5; NCEQE სტანდარტი 5)
- პროგრამის ბიუჯეტისა და რესურსების განაწილების მტკიცებულება (ESG 1.6; NCEQE სტანდარტი 6)

## რეკომენდაციები.

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს სტუდენტების პრაქტიკული მომზადება საერთაშორისო სტანდარტების (ISO, ASTM) გამოყენების და განმარტების მიმართულებით.

- სასურველია, პრაქტიკული სწავლების გასაუმჯობესებლად, გაგრძელდეს ჰიბრიდული და ვირტუალური ლაბორატორიული მოდელების შემუშავება.
- სასურველია, სასწავლო პრაქტიკის უწყვეტი გაუმჯობესების უზრუნველყოფის მიზნით, გაფართოვდეს სტუდენტური უკუკავშირის სისტემატური გამოყენება.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები;	შესაბამისობაშია

**2.4. სტუდენტის შეფასება**

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების შესაბამისად. გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

„სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის“ საბაკალავრო პროგრამა მოიცავს (აერთიანებს) სამართლიან და გამჭვირვალე პროცედურებს, რომლებიც უზრუნველყოფენს პრაქტიკული და ტრანსფერული უნარების განვითარებას დასახული სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის დონის შესაბამისად. აღნიშნული მკაფიოდ აისახება პროგრამის შინაარსში, სტრუქტურასა და პრაქტიკულ კომპონენტებში, რაც ადასტურებს მის სრულ შესაბამისობას დადგენილ სტანდარტებთან. კრედიტის მინიჭება შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტი მიაღწევს სილაბუსით განსაზღვრულ სწავლების შედეგებს.

პროგრამა მოიცავს პედაგოგიურ პრაქტიკას, სამრეწველო პრაქტიკას და ინდუსტრიული მენეჯმენტის მიმართულებით პრაქტიკული უნარების განვითარების პროგრამას, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს თეორიული ცოდნა გამოიყენონ როგორც ლაბორატორიულ პირობებში, ისე რეალურ საწარმოო გარემოში. უნივერსიტეტში ასევე დანერგილია სწავლის შედეგებთან/შეფასებასთან დაკავშირებული გასაჩივრების ეფექტიანი სისტემა, რომელიც ვიზიტის ფარგლებში სტუდენტების მიერ შეფასდა როგორც ფუნქციონალური, გამჭვირვალე და აქტიურად გამოყენებადი.

აკრედიტაციის პროცესის ფარგლებში უნივერსიტეტმა წარმოადგინა 23 მემორანდუმი, მათ შორის 14 შეთანხმება, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა ჩართულობას პრაქტიკულ კომპონენტებში, და 9 მემორანდუმი, გაფორმებული საქართველოსა და უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებთან სამეცნიერო-კვლევით თანამშრომლობასა და ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებაზე. ლიეტუვის, ჩეხეთის რესპუბლიკის, ყაზახეთისა და უკრაინის უნივერსიტეტებთან პარტნიორობა დასაფასებელია;

პროგრამის კურსდამთავრებულებთან შეხვედრაზე გაირკვა, რომ 2021-2022 წლებში შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიაში“ ორი სტუდენტი დასაქმდა, რაც დადებითი შედეგია. სტუდენტებმა

ასევე აღნიშნეს, რომ ფაკულტეტი აქტიურად აწყობს საწარმოებში ვიზიტებს პრაქტიკული სწავლების გასაუმჯობესებლად. მაგალითად, მესამე კურსის მეხუთე და მეექვსე სემესტრებში განხორციელდა საწარმოო ვიზიტები პლასტმასის წარმოების, ბეტონის ფილების წარმოების, ხის გადამამუშავებელი და რძის გადამამუშავებელ საწარმოებში.

უნივერსიტეტის მიერ წარმოდგენილი 2025 წლის შრომის ბაზრის კვლევის მონაცემებსა და სტუდენტებთან და დამსაქმებლებთან ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, დასტურდება, რომ აღნიშნულ სფეროში შრომის ბაზრის მოთხოვნა მაღალია. კურსდამთავრებულთა საერთო დასაქმების მაჩვენებელი ხუთი წლის განმავლობაში -90%-ია, ხოლო სტუდენტთა კვალიფიკაციის მიხედვით დასაქმება -10%-ია.

ხარისხის მართვის დოკუმენტაციისა და სტუდენტთა გამოკითხვების მიმოხილვა ადასტურებს, რომ ხარისხის მართვის სამსახური შეფასებებს ატარებს წელიწადში ორჯერ — როგორც ელექტრონული, ასევე წერილობითი (ანონიმური) ფორმით. სტუდენტთა უკუკავშირი სისტემურად მუშავდება გაანალიზდება), ხოლო მიღებული რეკომენდაციები პრაქტიკაში ინერგება პროგრამის გაუმჯობესების მიზნით. მაგალითად, სტუდენტის რეკომენდაცია პრაქტიკული მომზადების მოცულობის გაზრდის შესახებ ფაკულტეტმა სრულად გაითვალისწინა და დანერგა.

აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტმა შეიმუშავა 2024-2031 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს ფაკულტეტის განვითარების სამოქმედო გეგმას. ამ სტრატეგიაში განსაზღვრულ ერთ-ერთ საკვანძო მიზანს წარმოადგენს სტუდენტთა კარიერული წინსვლის ხელშეწყობა, ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა და უწყვეტი განათლების პრინციპის შესაბამისად მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლებისა და პროფესიული განვითარების (უწყვეტი გადამზადების) შესაძლებლობების უზრუნველყოფა. საგანმანათლებლო პროგრამა ასევე უზრუნველყოფს შეფასების ობიექტურ და სამართლიან სისტემას.

დამსაქმებელთა აქტიური ჩართულობა საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავებაში და მისი შრომის ბაზრის საჭიროებებთან შესაბამისობა დასაფასებელია. დასასრულს, მასალათმცოდნეობის, ფიზიკის, მექანიკისა და სამრეწველო პროცესების ანალიზის ლაბორატორიები ქმნის მყარ საფუძველს პრაქტიკული სწავლებისთვის.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ საბაკალავრო პროგრამა (სასწავლო გეგმა, სტრუქტურა და სასწავლო პროგრამები).
- თანამშრომლობის მემორანდუმები
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://atsu.edu.ge/>
- პლაგიატის პრევენციის, გამოვლენისა და მასზე რეაგირების მექანიზმი
- დამსაქმებლებთან გასაუბრების შედეგები
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრების შედეგები
- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები
- რაოდენობრივი თვითშეფასების ანგარიში
- 2024–2031 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა
- სტაჟირების ხელშეკრულება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“ 27.05.2022
- სწავლის შედეგების ანალიზი (კურსდამთავრებულთა მონაცემების მიხედვით 20.03.25-ის მდგომარეობით)

### **რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

სასურველია, უნივერსიტეტმა ფაკულტეტის სტუდენტებისთვის ყოველწლიურად ჩაატაროს დასაქმების ფორუმები, რათა ხელი შეუწყოს დამსაქმებლებთან პირდაპირ ურთიერთობას და გააუმჯობესოს დასაქმების შესაძლებლობები.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
2.4. სტუდენტების შეფასება:	შესაბამისობაშია

### 3. სტუდენტთა მოსწრება, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას სტუდენტებისთვის შესაბამისი სერვისების მიწოდებით; ხელს უწყობს სტუდენტთა მაქსიმალურ ინფორმირებულობას, ახორციელებს მრავალფეროვან აქტივობებს და ხელს უწყობს სტუდენტთა ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში; მაგისტრანტებისა და დოქტორანტებისათვის უზრუნველყოფილია სამეცნიერო ხელმძღვანელობისა და მითითების სათანადო ხარისხი.

#### 3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები

სტუდენტები იღებენ კონსულტაციას და მხარდაჭერას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესებისა და კარიერული განვითარების საკითხებში უსდ-ის პროგრამაში ან/და სტრუქტურულ ერთეულებში ჩართული ადამიანებისგან. სტუდენტს აქვს შესაძლებლობა ჰქონდეს მრავალფეროვანი სასწავლო პროცესი და მიიღოს შესაბამისი ინფორმაცია და რეკომენდაციები პროგრამაში ჩართული პირებისგან.

### საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

მოწოდებული დოკუმენტაციისა და ადგილზე ვიზიტის დროს გამართული განხილვების საფუძველზე ირკვევა, რომ უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს მექანიზმები საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების, დასაქმების მონიტორინგისა და კარიერული განვითარების მხარდაჭერისთვის. შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა სრულად შეესაბამება სტანდარტი 3.1-ის მოთხოვნებს.

დასაფასებელია, რომ უნივერსიტეტმა დანერგა სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონული სისტემები — „Eflow“ და „ელექტრონული დეკანი“, რომლებიც სტუდენტებისთვის თავისუფლად ხელმისაწვდომია. აღნიშნული პლატფორმები სტუდენტებს აძლევს შესაძლებლობას ელექტრონულად მიიღონ ინფორმაცია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, საგანმანათლებლო პროგრამების, სასწავლო რესურსებისა და აკადემიური პროგრესის შესახებ, ასევე უზრუნველყონ შესაბამისი ინფორმაციისა და სერვისების მიღება დისტანციურად. იგივე სისტემა სტუდენტებს

საშუალებას აძლევს, ელექტრონულად მიიღონ ინფორმაცია კონფერენციების, გრანტებისა და საგანმანათლებლო აქტივობების შესახებ.

ასევე აღსანიშნავია, რომ უნივერსიტეტი იყენებს Microsoft Teams-ს და კორპორაციულ ელფოსტის სისტემას, რაც უზრუნველყოფს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს შორის ეფექტიან ელექტრონულ კომუნიკაციას, ასევე დისტანციური კონსულტაციების შესაძლებლობას.

უნივერსიტეტს აქვს სრულფასოვნად ფუნქციონირებადი და ინფორმაციულად გამართული ვებგვერდი ([www.atsu.edu.ge](http://www.atsu.edu.ge)), სადაც საზოგადოებისა და კურსდამთავრებულებისთვის ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის საქმიანობის, პროექტებისა და ვაკანსიების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია. განსაკუთრებით დასაფასებელია სტუდენტთა მხარდაჭერის მრავალფეროვანი სერვისების დანერგვა — მათ შორის ტუტორობის სისტემა, სტუდენტთა ომბუდსმენი, ფსიქოთერაპევტის მომსახურება და კურსდამთავრებულთა ქსელი. ადგილზე ვიზიტის ფარგლებში ერთ-ერთმა სტუდენტმა აღნიშნა, რომ აღნიშნული საგანმანათლებლო პროგრამა აირჩია კურსდამთავრებულის რეკომენდაციის საფუძველზე და პროგრამამ სრულად გაამართლა/დააკმაყოფილა მისი მოლოდინები.

ინტერვიუების შედეგებმა აჩვენა, რომ კარიერული განვითარების ცენტრი, დეკანატი და პროგრამის ხელმძღვანელი/მენეჯერი აქტიურად აწვდიან სტუდენტებს ინფორმაციას ორგანიზაციების, დასაქმების შესაძლებლობების, ღია ვაკანსიების, სტაჟირებებისა და პრაქტიკული ტრენინგების შესახებ. ისინი ასევე ხელს უწყობენ პოტენციურ დამსაქმებლებთან კავშირების დამყარებას. აღსანიშნავია, რომ ბოლო ხუთი წლის განმავლობაში კურსდამთავრებულთა 10% დასაქმდა თავისი სპეციალობით.

შეხვედრებისას გაირკვა, რომ უნივერსიტეტი აწყობს ადგილობრივ და საერთაშორისო სტუდენტურ კონფერენციებს, სადაც მონაწილეები წარმოადგენენ თეორიულ და კვლევით ნაშრომებს თავიანთ სფეროში. სამომავლოდ რეკომენდებულია უნივერსიტეტმა დამატებით წახალისოს სტუდენტების ჩართულობა სამეცნიერო-კვლევით პროექტებში, რათა გაიზარდოს მათი მონაწილეობა და გააქტიურდეს ხილვადობა.

საქებარია, რომ თავად უნივერსიტეტმა აღიარა საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების აუცილებლობა თავის 2024-2031 წლების სტრატეგიულ სამოქმედო გეგმაში (დავალეხა 2.4: „საერთაშორისო და რეგიონული სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები“ და დავალეხა 6.2: „უწყვეტი განათლების განვითარების მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავება“

ადმინისტრაციასთან შეხვედრისას ხაზგასმით აღინიშნა სტუდენტთა მხარდაჭერის აქტივობების გაგრძელების მნიშვნელობა. სტუდენტთა მხარდასაჭერად უნივერსიტეტი ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს, მათ შორის სტიპენდიებს, ფინანსურ დახმარებას სოციალურად დაუცველი და მრავალშვილიანი ოჯახების წარმომადგენელი სტუდენტებისთვის, ექსკურსიებს და სხვა მხარდაჭერის მექანიზმებს.

უნივერსიტეტს აქვს თანამედროვე და კომფორტული ბიბლიოთეკა, რომელიც ციფრულ მასალებზე დისტანციურ წვდომას გთავაზობთ (<https://library.atsu.edu.ge/ge/home>)

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პროგრამის ფარგლებში კონფერენციებში მონაწილეობა მიიღო 9 სტუდენტმა, ხოლო საგრანტო პროექტებში ჩართული იყო 3 სტუდენტი.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვა და ტექნიკური ექსპერტიზა“ საბაკალავრო პროგრამა (სასწავლო გეგმა, სტრუქტურა და სასწავლო პროგრამები).
- უნივერსიტეტის ვებ-გვერდი: <https://atsu.edu.ge/>
- სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან გასაუბრებების შედეგები

- უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან გასაუბრების შედეგები
- რაოდენობრივი თვითშეფასების ანგარიში
- 2024–2031 წლების სტრატეგიული სამოქმედო გეგმა
- ბიბლიოთეკა (<https://library.atsu.edu/ge/ge/home>)
- გამოკითხვებისა და ინტერვიუების შედეგები და მათი ანალიზი

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამების განვითარებისთვის

- სასურველია, გაძლიერდეს აკადემიური პერსონალის მხარდაჭერა და თანამშრომლობა, იმისათვის, რომ გაიზარდოს სტუდენტების მონაწილეობა კონფერენციებში, კვლევებში და პროექტზე დაფუძნებულ აქტივობებში. აღნიშნული კიდევ უფრო გააუმჯობესებს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ხარისხს და მდგრადობას.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდაჭერის სერვისები	შესაბამისობაშია

**3.2. მაგისტრანტთა ხელმძღვანელობა**

- სამეცნიერო ხელმძღვანელი სათანადო მხარდაჭერას უწევს მაგისტრანტს სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარმატებით შესასრულებად.
- სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტებისა და ხელმძღვანელების თანაფარდობა უზრუნველყოფს სამეცნიერო ხელმძღვანელობის სათანადოდ განხორციელებას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

**მაგისტრანტის ხელმძღვანელობასთან დაკავშირებული მონაცემები**

სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელთა რაოდენობა	
მაგისტრანტთა რაოდენობა	
სამაგისტრო ნაშრომის ხელმძღვანელების/მაგისტრანტების თანაფარდობა	

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და გასაუბრების შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამების განვითარებისთვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">3.2. მაგისტრანტების ხელმძღვანელობა</a>	აირჩიეთ შესაბამისი

**4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა**

საგანმანათლებლო პროგრამის ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

**4.1. ადამიანური რესურსი**

- პროგრამის პერსონალი შედგება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირებისაგან, რომლებსაც აქვთ პროგრამის სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენციები.
- პროგრამის აკადემიური/ სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის

სათანადოდ წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/სამემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული მოვალეობების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ/სამეცნიერო/მოწვეულ პერსონალთან დაკავშირებული რაოდენობრივი მაჩვენებლები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

➤ პროგრამის ხელმძღვანელი ფლობს პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელ ცოდნასა და გამოცდილებას, ასევე სათანადო კომპეტენციებს პროგრამის სწავლის სფეროში. იგი უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში.

➤ პროგრამის სტუდენტები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.

---

## **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

### **აღწერა**

პროგრამას მხარს უჭერს კვალიფიციური და ადეკვატური რესურსებით აღჭურვილი აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი. პროგრამის განხორციელებაში მონაწილეობს სულ 15 აკადემიური პერსონალი (3 სრული პროფესორი, 12 ასოცირებული პროფესორი) და 1 მოწვეული სპეციალისტი. მთელ პერსონალს აქვს შესაბამისი კვალიფიკაციები, პროფესიული გამოცდილება და საგნის სპეციფიკური ექსპერტიზა.

ჩარიცხული სტუდენტების ამჟამინდელი რაოდენობა (73) უზრუნველყოფს სტუდენტებისა და პერსონალის ოპტიმალურ თანაფარდობას (0.21), რაც ხელს უწყობს პერსონალიზებულ სწავლებას, აკადემიურ მეთვალყურეობას და პრაქტიკული და კვლევითი კომპონენტების ეფექტურ ხელმძღვანელობას. აკადემიური პერსონალი სრულად არის აფილირებული დაწესებულებასთან, რაც უზრუნველყოფს სტაბილურობას და გრძელვადიან ვალდებულებას.

აკადემიური გუნდის ორ წევრს დამატებით აქვს დოკუმენტირებული დარგობრივი/სამრეწველო გამოცდილება წარმოებაში, მასალების დამუშავებასა და ტექნიკურ შემოწმებაში, რაც პირდაპირ კავშირშია პროგრამის გამოყენებით პროფილთან. მოწვეულ სპეციალისტს აქვს საინჟინრო ტექნოლოგიების ბაკალავრის ხარისხი და ეკონომიკის მოწინავე ხარისხები (მაგისტრის და დოქტორის ხარისხი) და წვლილი შეაქვს მატერიალურ ტექნოლოგიებთან და ტექნიკურ დოკუმენტაციასთან დაკავშირებულ გამოყენებით და მონათესავე კომპონენტების სწავლებაში.

უნივერსიტეტი სისტემატურად უჭერს მხარს პერსონალის განვითარებას შიდა ტრენინგების, კვლევითი სემინარების, კონფერენციებში მონაწილეობისა და პროფესიულ ქსელებში წევრობის გზით. აკადემიური პერსონალი ავლენს მაღალ კვლევით პროდუქტიულობას. ბოლო ხუთი წლის განმავლობაში მათ 124 სამეცნიერო ნაშრომი გამოაქვეყნეს, მათ შორის საერთაშორისო პუბლიკაციების, ეროვნული სტატიების, საგრანტო პროექტებისა და კონფერენციებზე პრეზენტაციების სახით.

ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი სათანადო დახმარებას უწევს სტუდენტებსა და აკადემიურ პერსონალს, რაც ხელს უწყობს პროგრამის შეუფერხებელ ფუნქციონირებას.

## ანალიზი

აკადემიური პერსონალის კვალიფიკაციები, რაოდენობა და კომპეტენციები სრულად შეესაბამება პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. სასწავლო დატვირთვის განაწილება დაბალანსებულია და უზრუნველყოფს როგორც პროგრამის მდგრადობას, ისე შედეგებზე დაფუძნებული სწავლების მოდელის ეფექტურ განხორციელებას. პერსონალის მაღალი კვლევითი აქტივობა და ჩართულობა საგრანტო პროექტებში ქმნის აკადემიური ხარისხის უზრუნველყოფისა და სტუდენტების პროფესიული განვითარების მხარდაჭერის მყარ საფუძველს.

ამავდროულად, ანალიზი ავლენს შემდეგ ასპექტებს:

- ტექნიკური და ლაბორატორიული დამხმარე პერსონალის რაოდენობა ამჟამად ლიმიტირებულია, რამაც შესაძლოა დამატებითი ოპერაციული და ორგანიზაციული დატვირთვა შეუქმნას აკადემიურ პერსონალს პრაქტიკული კომპონენტების მომზადებისა და მიწოდებისას, ასევე აღჭურვილობის მოვლა-პატრონობისა და უსაფრთხოების პროცედურებთან დაკავშირებით. ეს არის მსუბუქი, მაგრამ აქტუალური პრპბლება, რომელიც წარმოადგენს ქვემოთ მოცემული რეკომენდაციის საფუძველს.
- დარგობრივი/ ინდუსტრიული გამოცდილება მცირე რაოდენობის პერსონალშია კონცენტრირებული (ორი აკადემიური პერსონალი), მაშინ როდესაც პერსონალის უმრავლესობა ძირითადად აკადემიური და კვლევითი ექსპერტიზით არის უზრუნველყოფილი. გარდა ამისა, მოწვეული ლექტორის მაღალი აკადემიური ხარისხები არ არის პროგრამის ტექნიკურ სფეროდან, თუმცა მისი პირველი ციკლის საინჟინრო კვალიფიკაცია და პრაქტიკული კომპეტენცია უზრუნველყოფს პროგრამის მოთხოვნებთან მინიმალურ შესაბამისობას. ეს ასპექტები უფრო მეტად განვმავითარებელ მიმართულებებად ითვლება, ვიდრე კრიტიკულ ნაკლოვანებებად.

საერთო ჯამში, ადამიანური რესურსების სტრუქტურა ძლიერი, სტაბილურია და კარგად შეესაბამება პროგრამის მოთხოვნებს, ხოლო გამოვლენილი პრობლემების მოგვარება შესაძლებელია მიზანმიმართული გაუმჯობესების გზით.

## საწყისი რეკომენდაცია

პრაქტიკული და ლაბორატორიული საქმიანობის უფრო ეფექტური მხარდაჭერის უზრუნველსაყოფად, რეკომენდებულია ტექნიკური და ლაბორატორიული პერსონალის გაძლიერება.

## შეფასება

პროგრამის ადამიანური რესურსები ადეკვატური და მაღალკვალიფიციურია, რაც სრულად უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის მდგრადობას და სწავლის განზრახული შედეგების მიღწევას. პერსონალი ავლენს ძლიერ კვლევით ჩართულობას, ეფექტურ სწავლების პრაქტიკას და გრძელვადიან ინსტიტუციურ ავილირებას.

ვინაიდან იდენტიფიცირებულია ერთი მცირე რეკომენდაცია და ხაზგასმულია რამდენიმე დამატებითი ასპექტი, როგორც განსავითარებელი სფეროები და არა კრიტიკული ხარვეზები, კომპონენტი შეფასებულია, როგორც:

შესაბამისობის დონე: მეტწილად შესაბამისობაშია

პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა (მათ შორის აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალი)	პროგრამაში ჩართული პერსონალის რაოდენობა	დარგობრივი ექსპერტიზის მქონე პერსონალის ჩათვლით <sup>5</sup>	მათ შორის დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი <sup>6</sup>	მათ შორის, ავილირებული აკადემიური პერსონალი
სულ აკადემიური პერსონალი	16	2	15	15
- პროფესორი	3	1	3	3
- ასოცირებული პროფესორი	12	1	12	12
- ასისტენტ-პროფესორი	0	0	0	0
- ასისტენტი	0	0	0	0
მოწვეული პერსონალი	1	0	0	–
სამეცნიერო პერსონალი	0	0	0	–
საერთაშორისო პერსონალის ჩათვლით	0	0	0	0

<sup>5</sup> ძირითადი სწავლის სფეროს შესაბამისი კომპონენტების განმახორციელებელი პერსონალი

<sup>6</sup> შესაბამისი დოქტორის ხარისხის მქონე პერსონალი, რომელიც ახორციელებს ძირითადი სასწავლო სფეროს კომპონენტებს

## მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სემესტრული დატვირთვის დოკუმენტები (ESG 1.5; სტანდარტი 5)
- პერსონალის ყოველწლიური საქმიანობის ანგარიშები (ESG 1.5; ESG 1.9; სტანდარტი 5)
- კომპეტენციის შესაბამისობა პროგრამის სწავლის შედეგებთან
- პერსონალის გამოკითხვის მონაცემები (ESG 1.7; სტანდარტი 7)
- პროგრამის ბიუჯეტი და რესურსების განაწილების დოკუმენტები
- მემორანდუმები აკადემიური საქმიანობის მხარდამჭერ პარტნიორ ორგანიზაციებთან

## რეკომენდაციები.

რეკომენდაცია — ESG 1.6; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტი 6

- რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული დამხმარე პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.

## რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- სასურველია, პროგრამაში ეტაპობრივად გაიზარდოს დარგობრივი/ინდუსტრიული გამოცდილების მქონე პერსონალის წილი, იმისათვის, რომ გაძლიერდეს პროგრამის გამოყენებითი პროფილი.
- სასურველია, სამომავლოდ მოწვეული პერსონალის შერჩევას უპირატესობა მიენიჭოს იმ კანდიდატებს, რომელთა აკადემიური ხარისხი პირდაპირ შესაბამისობაში იქნება პროგრამის ტექნიკურ მიმართულებასთან.
- სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია, პროგრამის განხორციელებაში უცხოელი ექსპერტების პერიოდული ჩართულობით.
- სასურველია, გააფართოვდეს ახალი პერსონალის ხელმძღვანელობის შესაძლებლობები.
- სასურველია, კვლევებში სტუდენტების მონაწილეობის მხარდასაჭერად შემუშავდეს სამოტივაციო სქემები.
- სასურველია, გაძლიერდეს საერთაშორისო კონფერენციებში აკადემიური პერსონალის თანადაფინანსების მექანიზმები.

## შეფასება

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

**კომპონენტი****შეფასება****4.1 ადამიანური რესურსები**

მეტწილად შესაბამისობაშია

**4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია**

მაგისტრანტს ჰყავს კვალიფიციური ხელმძღვანელი / ხელმძღვანელები და საჭიროების შემთხვევაში თანახელმძღვანელი / თანახელმძღვანელები, რომლებსაც აქვთ კვლევის სფეროში შესაბამისი სამეცნიერო - კვლევითი გამოცდილება.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

საგანმანათლებლო პროგრამის თვითშეფასების ანგარიშის, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით აღწერეთ, გაანალიზეთ და შეაფასეთ საგანმანათლებლო პროგრამის მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობა;

სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელების რაოდენობა	ნაშრომის ხელმძღვანელები	დარგობრივი მიმართულებით დოქტორის ხარისხის მქონე ხელმძღვანელების ჩათვლით	მათ შორის, აფილირებული პერსონალი
სამაგისტრო ნაშრომების ხელმძღვანელთა რაოდენობა			
- პროფესორი			
- ასოცირებული პროფესორი			
- ასისტენტ-პროფესორი			
მოწვეული პერსონალი			–
სამეცნიერო პერსონალი			–

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- კომპონენტის მტკიცებულებები/ინდიკატორები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">4.2 მაგისტრანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია</a>	-

**4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება**

- უსდ რეგულარულად აწარმოებს პროგრამაში ჩართული პერსონალის შეფასებასა და შეფასების შედეგების ანალიზს.
- უსდ ზრუნავს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიულ განვითარებაზე. გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს მათ სამეცნიერო და კვლევით საქმიანობას.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

**აღწერა**

პროგრამას მხარს უჭერს უწყვეტი პროფესიული განვითარების მოდელი, რომელიც აძლიერებს აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის კომპეტენციებს. ეს სისტემა შეესაბამება უნივერსიტეტის სტრატეგიას „სწავლება კვლევაზე დაფუძნებულ გარემოში“ და უზრუნველყოფს სწავლების ხარისხისა და კვლევის პროდუქტიულობის მუდმივ გაუმჯობესებას.

პროგრამაში ჩართულია 15 აკადემიური თანამშრომელი (3 სრული პროფესორი და 12 ასოცირებული პროფესორი) და 1 მოწვეული სპეციალისტი, რომელთაგან თითოეულს აქვს შესაბამისი კვალიფიკაცია და ავლენს ძლიერ საგნობრივ და პრაქტიკულ ექსპერტიზას. აკადემიური პერსონალი სრულად არის აფილირებული უნივერსიტეტთან, რაც უზრუნველყოფს ინსტიტუციურ სტაბილურობას და პროგრამაში თანმიმდევრულ ჩართულობას.

პროფესიული განვითარება ხელშეწყობულია შიდა ტრენინგების, ფაკულტეტის მიერ ორგანიზებული სამეცნიერო სემინარების, ეროვნულ და საერთაშორისო

კონფერენციებში მონაწილეობის, მობილობის პროგრამებისა და პროფესიული ასოციაციების წევრობის გზით.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში აკადემიურმა პერსონალმა გამოაქვეყნა 124 სამეცნიერო ნაშრომი, მათ შორის საერთაშორისო პუბლიკაციები, ეროვნული სტატიები, განახორციელა პრეზენტაციები კონფერენციებზე და მონაწილეობა მიიღო 11 საგრანტო პროექტში. უნივერსიტეტი, კვლევაში ჩართულობას მხარს უჭერს თანადაფინანსების მექანიზმებისა და ფინანსური წახალისების გზით.

მოწვეული პერსონალი უზრუნველყოფს მჭიდრო კავშირებს ინდუსტრიასთან და წვლილი შეაქვს პრაქტიკაზე ორიენტირებულ სწავლების კომპონენტებში.

## **ანალიზი**

დაწესებულება უზრუნველყოფს პერსონალის უწყვეტი განვითარების ეფექტურ სისტემას, რომელიც მხარს უჭერს პროგრამის ხარისხსა და კვლევით ორიენტაციას. აკადემიური პერსონალი ავლენს მაღალ კვალიფიკაციას, აქტიურ სამეცნიერო ჩართულობას და მუდმივ გაუმჯობესებას.

პერსონალის შეფასების სისტემა ხორციელდება რეგულარულად და გამოიყენება შემდგომი განვითარების დასაგეგმად.

თუმცა, გამოვლინდა ორი მცირე პრობლემა:

1. ტექნიკური/ ლაბორატორიული პერსონალის შეზღუდული რაოდენობა

ეს ზღუდავს პრაქტიკაზე ორიენტირებული სწავლების სრულმასშტაბიან განხორციელებას.

წარმოადგენს ESG 1.6- თან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტ 6- თან მცირე, არაკრიტიკულ შეუსაბამობას.

2. სტუდენტების მონაწილეობა კვლევაში რჩება შეზღუდული

პერსონალის მაღალი კვლევითი პროდუქტიულობის მიუხედავად, სტუდენტების ჩართულობა პუბლიკაციებში, მონაცემთა ანალიზსა და საგრანტო აქტივობებში დაბალია. მცირე შეუსაბამობა ESG 1.3- თან და განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტ 2-თან.

საერთო ჯამში, ადამიანური რესურსების სისტემა ძლიერი, სტაბილურია და შეუძლია კვლევაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს მხარდაჭერა.

## **საწყისი რეკომენდაციები**

- რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.
- რეკომენდებულია, კვლევებში, პუბლიკაციებში და საგრანტო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები.

## **შეფასება**

პროფესიული განვითარების სისტემა წარმოადგენს პროგრამის ძლიერ აქტივს. პერსონალი საკმაოდ კვალიფიციურია, აქტიურობს კვლევაში და მხარდაჭერილია ეფექტური ინსტიტუციური მექანიზმებით.

ვინაიდან მოცემულია ორი მცირე რეკომენდაცია, კომპონენტი შეფასებულია შემდეგნაირად:

შესაბამისობის დონე: მეტწილად შესაბამისობაშია

## **მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- პერსონალის საქმიანობის დეტალური ანგარიშები (ESG 1.5; ESG 1.9; სტანდარტი 5)
- შიდა ხარისხის უზრუნველყოფის დოკუმენტები და ოქმები (ESG 1.1; ESG 1.9; სტანდარტი 7)
- აკადემიური პერსონალის კომპეტენციები და რეზიუმეები (ESG 1.5; სტანდარტი 5)
- თანამშრომლობის მემორანდუმები ინდუსტრიასთან და უნივერსიტეტებთან (ESG 1.5; ESG 1.6; სტანდარტები 5 და 6)
- შრომის ბაზრის კვლევა (ESG 1.4; ESG 1.9; სტანდარტი 2)
- პერსონალის გამოკითხვები და შემდგომი ქმედებები (ESG 1.7; ESG 1.9; სტანდარტი 7)

## რეკომენდაციები.

რეკომენდაცია 1 — ESG 1.6; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტი 6

რეკომენდებულია, გაიზარდოს ტექნიკური და ლაბორატორიული პერსონალის რაოდენობა, იმისათვის, რომ უზრუნველყოფილი იყოს პრაქტიკული კომპონენტების ეფექტური და უსაფრთხო განხორციელება.

რეკომენდაცია 2 — ESG 1.3; განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის სტანდარტი 2

რეკომენდებულია, კვლევებში, პუბლიკაციებში და საგრანტო აქტივობებში სტუდენტების მონაწილეობის გაზრდის მიზნით, შემუშავდეს სტრუქტურირებული ხელმძღვანელობის მექანიზმები.

## რჩევები პროგრამის განვითარებისათვის

- სასურველია, გააფართოვდეს შიდა სამოტივაციო სქემები სტიპენდიების დაწესებით ან სტატიების გამოქვეყნების მხარდაჭერით.
- სასურველია, გაძლიერდეს ინტერნაციონალიზაცია უცხოელი ექსპერტების მიზნობრივი ჩართულობით.
- სასურველია, ახალგაზრდა მკვლევარებისთვის უზრუნველყოფილი იყოს დამატებითი განვითარების შესაძლებლობები.
- სასურველია, გაფართოვდეს საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის და კვლევითი თანამშრომლობის თანადაფინანსება.

## შეფასება

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">4.3 აკადემიური, სამეცნიერო და მონეველი პერსონალის პროფესიული განვითარება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია

## 4.4. მატერიალური რესურსი

პროგრამა უზრუნველყოფილია აუცილებელი ინფრასტრუქტურით, სწავლის სფეროს შესაბამისი საინფორმაციო რესურსებით და ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც საჭიროა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მისაღწევად.

## საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

### 1. პროგრამის მხარდაჭერი ინფრასტრუქტურა, საინფორმაციო რესურსები და ტექნიკური აღჭურვილობა

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მენეჯმენტი და ტექნიკური ექსპერტიზა“ სრულად არის მხარდაჭერილი ინფრასტრუქტურით, ინფორმაციული რესურსებითა და ტექნიკური აღჭურვილობით, რაც აუცილებელია პროგრამის სწავლის შედეგების ეფექტურად მიღწევის უზრუნველსაყოფად. პროგრამა ხორციელდება ქუთაისში მდებარე ტექნიკური ინჟინერიის ფაკულტეტზე, სადაც თანამედროვე ლაბორატორიები, სპეციალიზებული აუდიტორიები და ტექნიკური საშუალებები უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ სასწავლო გარემოს.

ინფრასტრუქტურა მოიცავს სრულად აღჭურვილ ლაბორატორიებს მასალათმცოდნეობის, ფიზიკის, მექანიკისა და სამრეწველო პროცესების ანალიზისათვის, ასევე კომპიუტერულ ცენტრებს ლიცენზირებული საინჟინრო და სიმულაციური პროგრამული უზრუნველყოფით. სტუდენტებს შეუძლიათ ლაბორატორიული ტესტების ჩატარება, პროდუქტის შეფასება და მასალის თვისებების ანალიზი თანამედროვე სატესტო ინსტრუმენტების გამოყენებით - რაც აუცილებელი კომპონენტია მასალების ინჟინერიაში, პროდუქტის ექსპერტიზასა და ხარისხის მენეჯმენტში კომპეტენციების განვითარებისათვის.

გარდა ამისა, უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა და ციფრული ინფორმაციული სისტემები უზრუნველყოფენ დარგის შესაბამის ლიტერატურასა და მონაცემთა ბაზებზე წვდომას, რაც უზრუნველყოფს უწყვეტ აკადემიურ და კვლევით მხარდაჭერას. აწსუ-ს ბიბლიოთეკაში დაცულია ბეჭდური და ელექტრონული რესურსების კოლექცია, მათ შორის სახელმძღვანელოები, სამეცნიერო ჟურნალები, ინდუსტრიული სტანდარტები (ISO, EN) და ტექნიკური დოკუმენტაცია. ბიბლიოთეკის ონლაინ პორტალი (<https://library.atsu.edu.ge/ge/home>) სტუდენტებს აძლევს სასწავლო მასალებსა და ელექტრონულ მონაცემთა ბაზებზე დისტანციური წვდომის საშუალებას, რაც ხელს უწყობს დამოუკიდებელ კვლევასა და პროექტებზე მუშაობას.

გარდა ამისა, სტუდენტები სარგებლობენ კომპიუტერულ ლაბორატორიებსა და ციფრულ სასწავლო პლატფორმებზე წვდომით, როგორცაა დეკანატის ელექტრონული და Microsoft Teams გარემო, რომლებიც გამოიყენება ლექციების, კონსულტაციებისა და რესურსების გაზიარებისათვის. ეს სისტემები აძლიერებს სტუდენტებსა და პროფესორ-მასწავლებლებს შორის კომუნიკაციას, უზრუნველყოფს აკადემიურ გამჭვირვალობას და ხელს უწყობს შერეული სწავლების მიდგომებს.

უნივერსიტეტი ასევე უზრუნველყოფს ტექნიკურ ვორქშოპებსა და ინოვაციურ სივრცეებს, რომლებიც საშუალებას აძლევს სტუდენტებს გამოიყენონ თეორიული ცოდნა პრაქტიკულ და ექსპერიმენტულ კონტექსტში. სამრეწველო სტაჟირებებისთვის გამოყენებული ობიექტები, რომლებსაც მხარს უჭერს რეგიონულ საწარმოებთან თანამშრომლობის მემორანდუმები, სტუდენტებს აძლევს თანამედროვე წარმოების გარემოს, ტექნოლოგიებისა და მართვის სისტემების გაცნობის საშუალებას.

პროგრამის ინფრასტრუქტურა და რესურსები პერიოდულად ფასდება და განახლდება სტუდენტების, კურსდამთავრებულებისა და დამსაქმებლების უკუკავშირის მიხედვით, რაც

უზრუნველყოფს მის შესაბამისობას მიმდინარე საგანმანათლებლო და სამრეწველო სტანდარტებთან.

## **2. შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება**

თვითშეფასების ანგარიში აჩვენებს, რომ პროგრამა სრულად შეესაბამება **აკრედიტაციის სტანდარტს „მატერიალური, ტექნიკური და ინფორმაციული რესურსების“** თაობაზე. შეგროვებული მტკიცებულებები ადასტურებენ, რომ ყველა რესურსი - ადამიანური, მატერიალური და ინფორმაციული - საკმარისია და ეფექტურად გამოიყენება სწავლების, კვლევისა და სტუდენტების განვითარების მხარდასაჭერად.

### **ა. ფიზიკური და ტექნიკური რესურსები:**

- უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამედროვე, ფუნქციონალურ ლაბორატორიებს, რომლებიც აღჭურვილია **მასალების ანალიზის, წარმოების პროცესის სიმულაციისა და ხარისხის ტესტირებისათვის.**
- საკლასო ოთახები აღჭურვილია მულტიმედიური სისტემებით თეორიული სწავლებისთვის, ხოლო სახელოსნოები იძლევა პრაქტიკული ტექნიკური ტრენინგის საშუალებას.
- ლაბორატორიები პერიოდულად მოდერნიზდება ფაკულტეტის ბიუჯეტებისა და გარე პროექტების დაფინანსების მეშვეობით, რაც უზრუნველყოფს მდგრადობასა და დარგთან შესაბამისობას.

### **ბ. ინფორმაციული რესურსები:**

- **აწსუ- ს ბიბლიოთეკა** და მისი ელექტრონული კატალოგი უზრუნველყოფს მასალების ინჟინერიისა და სამრეწველო მენეჯმენტის სფეროების ყოვლისმომცველ გაშუქებას.
- სტუდენტებს აქვთ წვდომა **სამეცნიერო მონაცემთა ბაზებზე**, ელექტრონულ წიგნებსა და ციფრულ ჟურნალებზე, რომლებიც მხარს უჭერენ როგორც კურსების შესწავლას, ისე დამოუკიდებელ კვლევას.
- ბიბლიოთეკის ფონდები რეგულარულად განახლდება ფაკულტეტის რეკომენდაციების საფუძველზე, რათა ასახოს საინჟინრო ტექნოლოგიებისა და ხარისხის მართვის სისტემების განვითარების უახლესი პროცესები.

### **გ. ციფრული და საკომუნიკაციო ინსტრუმენტები:**

- **ელექტრონული სწავლებისა და საკომუნიკაციო პლატფორმების** (Microsoft Teams, eFlow დოკუმენტებისა და ელექტრონული დეკანატის სისტემები) გამოყენება აუმჯობესებს სასწავლო მასალებზე წვდომას, მხარს უჭერს დისტანციურ სწავლებას, უზრუნველყოფს სტუდენტების უკუკავშირისა და აკადემიური პროგრესის თვალყურის დევნების მექანიზმებს.
- ციფრული პლატფორმების ინტეგრაცია ასახავს უნივერსიტეტის ერთგულებას **სტუდენტზე ორიენტირებული სწავლებისა** და სასწავლო პრაქტიკის მოდერნიზაციის მიმართ.

### **დ. სამრეწველო და პრაქტიკული გარემო:**

- პროგრამა ინარჩუნებს მჭიდრო პარტნიორობას ადგილობრივ და რეგიონულ საწარმოებთან, მათ შორის ისეთ კომპანიებთან, როგორცაა „სამნი“, „ედელინგი“ და „გოგოვუდსი“, რათა სტუდენტური პრაქტიკისათვის უზრუნველყოს რეალური კონტექსტი.
- სტუდენტები გადიან სტაჟირებას და პროექტებზე დაფუძნებულ სწავლებას, სადაც ისინი იყენებენ სამრეწველო აღჭურვილობას და მართვის სისტემებს, რომლებიც პროფესიულ გარემოში არსებული სისტემების მსგავსია.
- ეს თანამშრომლობები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულებში გამოყენებითი უნარების, მათ შორის ტექნიკური ექსპერტიზის, წარმოების დაგეგმვისა და ხარისხის უზრუნველყოფის განვითარებას, რაც პირდაპირ კავშირშია ინდუსტრიის საჭიროებებთან.

**ე. მდგრადობა და ხელმისაწვდომობა:**

ინფრასტრუქტურა და ტექნიკური რესურსები ფინანსურად მდგრადია უნივერსიტეტის წლიური ბიუჯეტისა და სტრატეგიული განვითარების გეგმის ფარგლებში. ხელმისაწვდომობა ყველა სტუდენტისათვის, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირებისთვის, უზრუნველყოფილია ინკლუზიური ფიზიკური საშუალებებითა და ინდივიდუალური აკადემიური მხარდაჭერით.

**შესაბამისობის შეფასება:**

არსებული ინფრასტრუქტურა, ლაბორატორიული ბაზა, ინფორმაციული რესურსები და ციფრული სისტემები სრულად უჭერენ მხარს პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს. ისინი იძლევიან თეორიისა და პრაქტიკის ეფექტურ ინტეგრაციას და უზრუნველყოფენ სტუდენტების მიერ მასალათა ინჟინერიის ტექნოლოგიის ბაკალავრის კვალიფიკაციისთვის საჭირო კომპეტენციების მიღწევას. კარგად აღჭურვილი ფიზიკური ობიექტებისა და ძლიერი ციფრული ინფრასტრუქტურის კომბინაცია ასახავს სრულ შესაბამისობას როგორც ეროვნული აკრედიტაციის, ისე ევროპული განმანათლებლის ხარისხის სტანდარტებთან.

სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის პროგრამა უზრუნველყოფს ყოვლისმომცველ და თანამედროვე რესურსულ გარემოს, რომელიც აერთიანებს ფიზიკურ, ინფორმაციულ და ციფრულ ინფრასტრუქტურას. ლაბორატორიები და სახელოსნოები ხელს უწყობენ პრაქტიკულ გამოცდილებას, ხოლო ბიბლიოთეკა და ონლაინ სისტემები უზრუნველყოფენ აკადემიურ და კვლევით მასალებზე უწყვეტ წვდომას. საწარმოებთან თანამშრომლობა ზრდის პროფესიულ მზადყოფნას და უზრუნველყოფს რეალური წარმოების პირობების პრაქტიკულ შესწავლას.

საერთო ჯამში, პროგრამა აჩვენებს სრულ შესაბამისობას სტანდარტის კომპონენტთან, რომელიც ეხება ინფრასტრუქტურასა და რესურსებს. იგი წარმატებით აკავშირებს საგანმანათლებლო მიზნებს მატერიალურ და ტექნიკურ შესაძლებლობებთან, რაც უზრუნველყოფს კურსდამთავრებულების მიერ თეორიული, ანალიტიკური და გამოყენებითი უნარების შექმნას, რომლებიც მოთხოვნილია როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო შრომის ბაზრებზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მენეჯმენტი და ტექნიკური ექსპერტიზა“ (სასწავლო გეგმა და სილაბუსები).
- ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმები (ინფრასტრუქტურის განვითარების პრიორიტეტების დადასტურება).
- თანამშრომლობის მემორანდუმები სამრეწველო ორგანიზაციებთან (მაგ., შპს „სამნი“, შპს „ედელინგი“ და საწარმო „გოგოვუდსი“).
- ლაბორატორიული და ტექნიკური ადჭურვილობის ინვენტარიზაცია და ანგარიშები (მასალების ტესტირების, მექანიკური ინჟინერიისა და ხარისხის კონტროლის ლაბორატორიები).
- აწსუ- ს ბიბლიოთეკისა და ელექტრონული რესურსების პორტალი – <https://library.atsu.edu.ge/ge/home>.
- დეკანატის ელექტრონული კაბინეტი და ელექტრონული სწავლების პლატფორმები (Microsoft Teams, eFlow).
- ობიექტებისა და რესურსების მართვის ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები.
- სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვები რესურსების ადეკვატურობისა და სასწავლო გარემოს შესახებ.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">4.4 მატერიალური რესურსები</a>	შესაბამისობაშია

**4.5 პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა**

პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტით გათვალისწინებული ფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად მიღწევადია და შეესაბამება პროგრამის საჭიროებებს

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

## 1. ეკონომიკური განხორციელებადობა და ფინანსური რესურსების შესაბამისობა პროგრამის საჭიროებებთან

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის (აწსუ) საბაკალავრო პროგრამა „სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მენეჯმენტი და ტექნიკური ექსპერტიზა“ აჩვენებს, რომ ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ბიუჯეტში ფინანსური რესურსების განაწილება ეკონომიკურად განხორციელებადია და ასევე ადეკვატურად შეესაბამება პროგრამის აკადემიურ, ინფრასტრუქტურულ და განვითარების საჭიროებებს.

ფინანსური დაგეგმვა და განაწილება ხორციელდება აწსუ-ს ფინანსური მართვის პოლიტიკისა და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის შესაბამისად, რაც უზრუნველყოფს ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მხარდაჭერას გამჭვირვალე, მდგრადი და შედეგებზე დაფუძნებული დაფინანსების მოდელით. ტექნიკური ინჟინერიის ფაკულტეტის ბიუჯეტი მოიცავს შემდეგ მუხლებს:

- აკადემიური პროცესის მხარდაჭერა, რომელიც მოიცავს სწავლების, ხელმძღვანელობისა და შეფასების აქტივობებს;
- ლაბორატორიული და ტექნიკური მომსახურება, მათ შორის აღჭურვილობის შეძენა, კალიბრაცია და მოდერნიზაცია;
- საბიბლიოთეკო და ციფრული რესურსები, რაც უზრუნველყოფს განახლებულ აკადემიურ და კვლევით მასალებზე უწყვეტ წვდომას;
- აკადემიური პერსონალის პროფესიული განვითარება, მათ შორის საერთაშორისო პროექტებში, კონფერენციებსა და ტრენინგებში მონაწილეობა;
- სტუდენტური სერვისები, მათ შორის სტაჟირება, მობილობა და ექსტრაკურიკულური აკადემიური ინიციატივები;
- ხარისხის უზრუნველყოფის აქტივობები, როგორცაა პროგრამის თვითშეფასება, გარე შეფასებები და დაინტერესებულ მხარეებთან კონსულტაციები.

ეს განაწილება შეესაბამება მასალების ინჟინერიისა და ხარისხის მართვის სფეროს საჭიროებებს, სადაც აუცილებელია ლაბორატორიების უწყვეტი მოდერნიზაცია და ტესტირების ინსტრუმენტების შეძენა. ფაკულტეტი უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამის მოთხოვნები რესურსებზე - როგორც ადამიანურ, ასევე ტექნიკურზე - დაკმაყოფილდეს შიდა საბიუჯეტო სახსრებისა და გარე პროექტების კომბინაციით, მათ შორის სამრეწველო პარტნიორებთან და საერთაშორისო დაწესებულებებთან თანამშრომლობით (მაგალითად, სლოვაკეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტთან ბრატისლავაში).

ფინანსური განხორციელებადობა უზრუნველყოფილია ხარჯებისა და სარგებლის საფუძვლიანი ანალიზით, სადაც ხარჯები პირდაპირ კავშირშია კონკრეტული პროგრამის შედეგების მიღწევასთან. სწავლის საფასურიდან მიღებულ შემოსავალსა და ოპერაციულ ხარჯებს შორის ბალანსი ადასტურებს გრძელვადიან მდგრადობას. გარდა ამისა, რეგულარული ფინანსური აუდიტი და ხარისხის უზრუნველყოფის შეფასებები ადასტურებენ ხარჯების შესაბამისობას სტრატეგიულ მიზნებსა და აკრედიტაციის სტანდარტებთან.

## 2. შესაბამისობის აღწერა, ანალიზი და შეფასება

თვითშეფასების ანგარიში ადასტურებს, რომ პროგრამის ფინანსური დაგეგმვა და მართვა ხორციელდება აკრედიტაციის სტანდარტის „პროგრამის განხორციელების მხარდაჭერის ფინანსური რესურსების“ მოთხოვნებთან სრულ შესაბამისობაში.

#### **ფინანსური დაგეგმვა და მმართველობა**

აწსუ- ში ფინანსური მენეჯმენტი ცენტრალიზებულ, მაგრამ გამჭვირვალე სტრუქტურას მიჰყვება, სადაც პროგრამასთან დაკავშირებული საჭიროებები წარმოდგენილია ფაკულტეტის მიერ და დამტკიცებულია უნივერსიტეტის დონეზე. წლიური და ექვსთვიანი ფინანსური გეგმები მზადდება უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმის (2023– 2028წწ) შესაბამისად და განიხილება ფინანსური და ეკონომიკური დეპარტამენტის მიერ.

პროცესი უზრუნველყოფს:

- ფინანსური განაწილების აკადემიურ პრიორიტეტებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- სწავლების, კვლევისა და ინფრასტრუქტურის მდგრადი დაფინანსებას;
- ხარჯების ოპტიმიზაციისა და რესურსების ეფექტიანობის უწყვეტი გაუმჯობესების მექანიზმებს.

#### **ბ. ეკონომიკური განხორციელებადობა**

დაფინანსების მოდელი უზრუნველყოფს ეკონომიკურ სიცოცხლისუნარიანობას რაციონალური ხარჯების დაგეგმვის გზით. ძირითადი ხარჯვითი კატეგორიები - პერსონალის ანაზღაურება, ლაბორატორიის მოვლა-პატრონობა, სასწავლო მასალები და სტუდენტების მომსახურება - ბიუჯეტში გათვალისწინებულია პროგრამის ზომისა და ჩარიცხვის ტენდენციების პროპორციულად. გარდა ამისა, ფაკულტეტი, უნივერსიტეტის დაფინანსების შესავსებად, იყენებს გარე შემოსავლის წყაროებს (გრანტები, პარტნიორობა და საერთაშორისო პროექტები), რაც უზრუნველყოფს ფინანსურ მდგრადობას და მოქნილობას.

#### **გ. პროგრამის საჭიროებებთან შესაბამისობა**

ბიუჯეტის ასიგნებები ცალსახად ითვალისწინებს პროგრამის ოპერაციულ მოთხოვნებს, მათ შორის ლაბორატორიის მოდერნიზაციას, ციფრული პლატფორმის მოვლა- პატრონობას და პერსონალის განვითარებას. მაგალითად:

- მასალების ტესტირების, ხარისხის კონტროლისა და პროდუქტის ანალიზისთვის ლაბორატორიული აღჭურვილობა განახლდება რეგულარულად;
- პედაგოგიური და სამეცნიერო პერსონალი მხარდაჭერილია პროფესიული კვალიფიკაციის ამაღლების დაფინანსებით;
- ელექტრონულ სწავლებასა და ციფრულ ინფრასტრუქტურაში ინვესტიციები აძლიერებს სწავლების ხელმისაწვდომობას და ხარისხს.

ბიუჯეტი ასევე ითვალისწინებს სტუდენტებზე ორიენტირებულ ხარჯებს, მათ შორის სტიპენდიებს, აკადემიურ კონკურსებსა და საწარმოო სტაჟირებას, რაც აძლიერებს პროგრამის პრაქტიკულ და პროფესიულ ორიენტაციას.

#### **დ. ფინანსური გამჭვირვალობა და ანგარიშვალდებულება**

უნივერსიტეტის ფინანსური რეგულაციის შესაბამისად ყველა ხარჯი გადის შიდა და გარე აუდიტს. ფაკულტეტისა და პროგრამის ადმინისტრატორები ვალდებული არიან წარადგინონ ყოველწლიური ფინანსური ანგარიშები, რომლებსაც ამოწმებენ უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და ფინანსური დეპარტამენტი. ეს პროცესი უზრუნველყოფს

გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ეროვნული საჯარო ფინანსების რეგულაციების დაცვას.

#### **ე. შესაბამისობის შეფასება**

მტკიცებულებები აჩვენებს, რომ ფინანსური მართვის პრაქტიკა **ეფექტიანი და გამჭვირვალეა და სტრატეგიულად შეესაბამება** პროგრამის მისიას. პროგრამის ოპერაციული და განვითარების ხარჯები სათანადოდ არის დაფარული, რაც უზრუნველყოფს სწავლება-სწავლისა და ინფრასტრუქტურის განვითარების შეუფერხებელ პროგრესს. არსებული მექანიზმები - ბიუჯეტის დაგეგმვა, პერიოდული მიმოხილვა და ხარისხის მონიტორინგი - იძლევა იმის გარანტიას, რომ ფინანსური რესურსები მუდმივად ოპტიმიზირებულია პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის მხარდასაჭერად.

ამგვარად, პროგრამა **სრულ შესაბამისობაშია** აკრედიტაციის ფინანსური რესურსების კომპონენტთან, რაც ადასტურებს გრძელვადიან მდგრადობას და ფისკალურ პასუხისმგებლობას.

**სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მართვისა და ტექნიკური ექსპერტიზის** პროგრამის მხარდაჭერი ფინანსური რესურსები **კარგად სტრუქტურირებულია, მდგრადია და შესაფერისადაა განაწილებული**. ბიუჯეტირების პროცესი მიჰყვება აწსუ-ს მიერ დამკვიდრებულ ფინანსური მმართველობის მოდელს, რაც უზრუნველყოფს გამჭვირვალობას, ანგარიშვალდებულებას და ეფექტიანობას. თანხების განაწილება სრულად შეესაბამება პროგრამის ოპერატიულ საჭიროებებს, მათ შორის ინფრასტრუქტურის მოვლა-პატრონობას, სწავლების მხარდაჭერასა და პერსონალის განვითარებას.

ფინანსური მოდელი უზრუნველყოფს იმას, რომ პროგრამას შეეძლოს თანამედროვე ლაბორატორიებით ოპერირება, ინფორმაციულ რესურსებზე წვდომის უზრუნველყოფა და სწავლების ხარისხის მუდმივი გაუმჯობესება - ყველაფერი ეს აუცილებელია განსაზღვრული სწავლის შედეგების მისაღწევად. დასკვნის სახით, პროგრამა აჩვენებს **სრულ შესაბამისობას** აკრედიტაციის ფინანსური რესურსების განაწილების კომპონენტთან, რაც ადასტურებს მის **ეკონომიკურ განხორციელებადობას, მდგრადობასა და შესაბამისობას ინსტიტუციური და აკადემიური მიზნების მიმართ**.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- **უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2023– 2028წწ)** – რომელიც ასახავს სტრატეგიულ მიზნებს, ფინანსურ პრიორიტეტებსა და ბიუჯეტის ჩარჩოებს.
- **ტექნიკური ინჟინერიის ფაკულტეტის წლიური და ექვსთვიანი ბიუჯეტები** – მათ შორის ხარჯების განაწილებას სწავლებაზე, ლაბორატორიულ მხარდაჭერასა და პერსონალის განვითარებაზე.
- **უნივერსიტეტის ფინანსური რეგულირებისა და მართვის პოლიტიკა** – ბიუჯეტის განაწილების პროცედურებისა და ანგარიშგების მექანიზმების განსაზღვრა.
- **ყოველწლიური თვითშეფასების ანგარიშები** – მათ შორის სექციები ფინანსური აღქვადობისა და მდგრადობის შესახებ.

- ფაკულტეტის საბჭოსა და ფინანსური კომიტეტის სხდომების ოქმები – ადასტურებენ ბიუჯეტის დამტკიცებასა და კორექტირებას.
- აუდიტის ანგარიშები – ფინანსური გამჭვირვალობისა და საჯარო სექტორის სტანდარტებთან შესაბამისობის დადასტურება.
- მემორანდუმები სამრეწველო და აკადემიურ პარტნიორობთან – პროგრამის განხორციელებაში გარე ფინანსური და მატერიალური წვლილის მითითებით.
- ლაბორატორიის მოდერნიზაციისა და აღჭურვილობის შესყიდვის შესახებ ანგარიშები – სასწავლო ინფრასტრუქტურაში პირდაპირი ინვესტიციების დოკუმენტირება.

**რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

**რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
4,5. <a href="#">პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა</a>	შესაბამისობაშია

**5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები**

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით, პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის შეფასებებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

**5.1. შიდა ხარისხის შეფასება**

პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან / პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში პროგრამის პერსონალი იყენებს ხარისხის უზრუნველყოფის შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს საქართველოსა და საერთაშორისო საგანმანათლებლო ჩარჩოებში დადგენილი რეგულაციებისა და სტანდარტების, ასევე რამდენიმე ძირითადი ინსტიტუციური დოკუმენტის შესაბამისად. მათ შორისაა აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია (აკადემიური საბჭოს დადგენილება No49 (17/18), 09.02.2018წ; შეტანილია ცვლილებები აკადემიური საბჭოს დადგენილებებით No39 (20/21), 15.07.2021წ, და No8 (21/22), 09.11.2021წ).

უნივერსიტეტის მენეჯმენტის მიერ შემუშავებული ეს დებულებები უზრუნველყოფს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის პროცესის წინსვლას, ფაკულტეტის სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებითა და ინსტიტუციური ავტონომიის დაცვით.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ფუნქციონირებს ცენტრალიზებულად ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებთან თანამშრომლობით, რომლებიც თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ კოლეგიალურ ორგანოებთან, როგორცაა ექსპერტთა საბჭო, მჭიდრო თანამშრომლობით.

ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფუნქციონირების პრინციპი დაფუძნებულია „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე-იმოქმედე“ (PDCA) პრინციპზე, რომლის საფუძველზეც დაწესებულება ახორციელებს ყველა მნიშვნელოვან საქმიანობას. დაწესებულების შემდგომი განვითარების მიზნით, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური რეგულარულად ამოწმებს საქმიანობის შედეგად მიღწეულ პროგრესს. შესაბამისად, ეს გულისხმობს ყველა დაინტერესებული მხარის თვითშეფასებას - თვითშეფასების გუნდის, რომელმაც იმუშავა თვითშეფასების ანგარიშის შედგენაზე.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტში ხარისხის კულტურის მხარდაჭერას. ეს ნიშნავს, „დაგეგმე-განახორციელე-შეამოწმე- იმოქმედე“ (PDCA) პრინციპის საფუძველზე, პირველ რიგში, საგანმანათლებლო და სამეცნიერო- კვლევით საქმიანობას და მეორეც, დაწესებულების აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალის განვითარების ხარისხის შეფასებას.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიზნებია:

- უნივერსიტეტის მისიისა და სტრატეგიული მიზნების ეფექტური განხორციელების უზრუნველყოფა;
- უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში უნივერსიტეტის შიდა სტანდარტებითა და კრიტერიუმებით განსაზღვრული დონის ხარისხის უზრუნველყოფა;
- ინსტიტუციური ავტორიზაციისა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის უწყვეტობის უზრუნველსაყოფად განათლების სფეროში საქართველოს კანონმდებლობის,

ავტორიზაციისა და აკრედიტაციის რეგულაციების, ასევე სხვა ნორმატიული დოკუმენტებისა და სტანდარტების დაცვის უზრუნველყოფა;

- უნივერსიტეტის საქმიანობის შედეგების აღიარება რეგიონულ და ეროვნულ დონეზე და საერთაშორისო ცნობიერების ამაღლება;
- უნივერსიტეტის პროცესების ინტერნაციონალიზაციის ხელშეწყობა და დაინტერესებულ მხარეებთან ურთიერთსასარგებლო ურთიერთობების დამყარება.

ხარიახის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფციის საფუძველზე, დაწესებულებამ თავისი საქმიანობა განავითარა სამი მნიშვნელოვანი მიმართულებით: *საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა - EP- QA; კვლევის განვითარების პოლიტიკა - RE- QA; მენეჯმენტის ეფექტურობის გაუმჯობესების პოლიტიკა - ME-QA*. თავის მხრივ, აკადემიური პროგრამების ხარისხის უზრუნველყოფა (EP- QA) შემდეგი პროცედურების მიხედვით ვითარდება: აკადემიური პროგრამების ინიცირება, დაგეგმვა და დიზაინი, შეფასება და შემუშავება.

დაწესებულება დიდ მნიშვნელობას ანიჭებს საგანმანათლებლო და კვლევით პროცესს, რომელიც მოიცავს სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხარდაჭერას საგანმანათლებლო პროგრამების შიდა და გარე შეფასების კუთხით.

დაწესებულებას გააჩნია კონკრეტული პროცედურები აკადემიური პროგრამების ინიცირებისა და შემუშავების მხარდასაჭერად, რომლებშიც მონაწილეობს ყველა დაინტერესებული პირი. ეს პროცედურები საფუძვლიანად იქნა განხილული აკრედიტაციის შეხვედრებზე ჩატარებული გასაუბრებების დროს, ხოლო ექსპერტთა ჯგუფის შეხვედრების ოქმები, რომლებიც იძლევიან პროცესების დეტალურ აღწერას, წარდგენილი იქნა ოფიციალურ დოკუმენტაციად.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის მეთოდოლოგიის შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის მოსამზადებელ პროცესს წინ უძღოდა ბაზრის კვლევა, რომელიც მომზადდა საქართველოს დასაქმების ბაზრის ძირითადი ტენდენციების გამოსავლენად. მოწოდებული დოკუმენტი ძირითადად ეხება შრომის ბაზრის შესახებ ზოგად ინფორმაციას. საბაკალავრო პროგრამისათვის სპეციფიკური ინფორმაცია მწირია და რთულია როგორც დამსაქმებლების, ასევე კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგების იდენტიფიცირება. ინდუსტრიის ამ სექტორისათვის საბაკალავრო პროგრამის შესაბამისობის გათვალისწინებით, აუცილებელია პროგრამის გუნდმა მომავალში ჩაატაროს გარე დაინტერესებული მხარეების ყოვლისმომცველი კვლევა და მოამზადოს შრომის ბაზრის ფოკუსირებული ანალიზი, მკაფიოდ განსაზღვრული მეთოდოლოგიის საფუძველზე, კონკრეტულად აკადემიური პროგრამის განვითარებისათვის. ეს საშუალებას მისცემს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს აქტიურად აკონტროლოს, გამოავლინოს და გააანალიზოს მნიშვნელოვანი პრობლემები მათი გადაჭრისა და გაუმჯობესების მიზნით, რითაც გაიზრდება

კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობა შრომის ბაზარზე. შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ოპერატიული, ორგანიზაციული, დამხმარე და ხარისხთან დაკავშირებული განვითარების პროცესებსა და პროცედურებში მონაწილეობენ აწსუ-ს ადმინისტრაცია, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტები, მომსახურების ობიექტები, სტუდენტები და სტუდენტური თვითმმართველობა, კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები და სხვა დაინტერესებული მხარეები. ამ მექანიზმებში ყველა აქტიური წევრის მონაწილეობა არათანაბარია. აკადემიური პროგრამით დაინტერესებულ პირებს შორის აკადემიური, ადმინისტრაციული, მოწვეული პერსონალი და კურსდამთავრებულები უფრო აქტიურები არიან ვიდრე დამსაქმებლები, რაც დაფიქსირდა ვიზიტის დროსაც. თუმცა, სასურველია, პროგრამის შემუშავებაში გაიზარდოს დამსაქმებლების წვლილი.

საბაკალავრო პროგრამის მომზადება და მისი შემდგომი განვითარება პირდაპირ კავშირშია მისი განმახორციელებელი პერსონალისა და დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობასთან, რასაც უშუალოდ მართავს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. მიუხედავად იმისა, რომ აკადემიური პერსონალი აქტიურად იყო ჩართული აკრედიტაციის პროცესებში, აღსანიშნავია, რომ მათ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მხრიდან სჭირდებათ მეტი მხარდაჭერა, რათა ხარისხის კულტურის ინსტიტუციური განვითარების სფეროში მიიღონ მეტი კომპეტენცია და ცოდნა.

2011 წლიდან, უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად, ყოველწლიურად ყველა აკრედიტებული უნივერსიტეტის პროგრამისათვის მზადდება თვითშეფასების ანგარიში. ამ ანგარიშს განიხილავენ შესაბამისი დეპარტამენტები, ფაკულტეტები და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი. ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტს ასევე შემუშავებული აქვს თვითშეფასების ფორმა აკადემიური პროგრამებისათვის, რომელიც მოიცავს დეტალურ და, კერძოდ, რაოდენობრივ მონაცემებს. ეს მიდგომა ხელს უწყობს პროგრამის განვითარების დინამიკის ილუსტრირებას და მისი ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების იდენტიფიცირებას.

აკრედიტაციამდე, საბაკალავრო პროგრამამ გაიარა შიდა მიმოხილვა და შეფასება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შეფასების დოკუმენტები, მათ შორის ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისა და შიდა საგნობრივი ექსპერტის მიერ მომზადებული შეფასებები. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა შეფასება, ძირითადად გაამახვილა პროგრამის ფორმალურ ასპექტებსა და სილაბუსებზე. შიდა შეფასებამ მიუთითა სილაბუსების, კერძოდ, სასწავლო მასალებისა და სწავლის შედეგების გადახედვის აუცილებლობაზე. ამის საპირისპიროდ, საგნის ექსპერტმა პროგრამის გუნდს სთხოვა, გადაეხედა სასწავლო გეგმა, რათა ნათლად გამოეკვეთა კურსების ლოგიკური თანმიმდევრულობა. ექსპერტმა ასევე მოითხოვა კურსის წინაპირობების უფრო ზუსტი

განსაზღვრა. აკადემიურმა გუნდმა აკრედიტაციამდე დეტალურად განიხილა ყველა რეკომენდაცია და შემდგომში შეიტანა ცვლილებები პროგრამაში.

### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- აწსუ- ს ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა (დანართი 4): აკადემიური საბჭოს 2018 წლის 9 თებერვლის №49 (17/18) დადგენილება („აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფცია“);
- აკადემიური საბჭოს 2021 წლის 15 ივლისის №39 (20/21) და 2021 წლის 9 ნოემბრის №8 (21/22) დადგენილებები;
- პროგრამის სამუშაო ჯგუფის პასუხი პროგრამის შიდა შეფასებასთან დაკავშირებულ ზოგიერთ კომენტარზე;
- უნივერსიტეტისა და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურების ანგარიშები;
- შრომის ბაზრის კვლევა;
- ხარისხის უზრუნველყოფის გამოკითხვები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- აკრედიტაციის ვიზიტის ფარგლებში ჩატარებული გასაუბრებების მონაცემები.

### **რეკომენდაციები.**

- რეკომენდებულია, სამომავლოდ ჩატარდეს გარე დაინტერესებული მხარეების დეტალური გამოკითხვა და საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების მიზნით, კონკრეტული მეთოდოლოგიის გამოყენებით მომზადდეს პირდაპირი და მიზნობრივი შრომის ბაზრის ანალიზი;
- რეკომენდებულია, დაინტერესებულმა მხარეებმა მიიღონ ინტენსიური მხარდაჭერა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურისგან (ვორქშოფები, ტრენინგები და ა.შ. ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით), იმისათვის, რომ განუვითარდეთ უნარები და ხელი შეუწყონ ხარისხის ინსტიტუციონალური კულტურის ჩამოყალიბებას.

### **რჩევები პროგრამების განვითარებისათვის**

- სასურველია, გაძლიერდეს პროგრამის განვითარების პროცესში დამსაქმებლების ჩართულობა.

### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

<b>კომპონენტი</b>	<b>შეფასება</b>
-------------------	-----------------

## **5.1 შიდა ხარისხის შეფასება**

მეტწილად შესაბამისობაშია

## **5.2. გარე ხარისხის შეფასება**

პროგრამა რეგულარულად იყენებს გარე ხარისხის შეფასების შედეგებს.

### **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

სტანდარტების შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი აღიარებულია გარე შეფასების ერთ-ერთ მექანიზმად, ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესებთან ერთად, რომელსაც ახორციელებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი. მასში მონაწილეობენ როგორც ქართველი, ასევე საერთაშორისო ექსპერტები, რის შემდეგაც ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი განიხილავს ექსპერტების რეკომენდაციებს და წარუდგენს მათ უნივერსიტეტებს. შეფასების შემდგომი რეკომენდაციების ინკორპორირება ხდება პროგრამის განვითარების შემდგომ ეტაპებზე. საგანმანათლებლო პროგრამები ხშირად ერთვებიან გარე შეფასების პროცესებში, ვინაიდან საექსპერტო გარე შეფასება წარმოადგენს პროგრამის გამოწვევების ადრეული იდენტიფიცირებისა და საგანმანათლებლო პროგრამების შემდგომი განვითარების წინაპირობას. საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტებთან უფრო მჭიდრო შესაბამისობის უზრუნველსაყოფად, ხორციელდება შესაბამისი ზომების დაგეგმვა. გარდა ამისა, ხდება პროგრამის განვითარების შეფასებებში მონაწილეობის შედეგები გათვალისწინება, ხოლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს რეკომენდაციების სისტემატურ გაზიარებას და შესრულების მონიტორინგს.

დაწესებულებამ შექმნა გარე შეფასების მექანიზმი თემატური სფეროებით, რომლებიც შეესაბამება მოქმედი აკრედიტაციის სტანდარტებს. ესენია:

- კურსდამთავრებულთა შეფასებების ანალიზი;
- დამსაქმებლების გამოკითხვები, რომლებიც მიზნად ისახავს შრომის ბაზრის საჭიროებების იდენტიფიცირებას და პროგრამის შედეგების პროფესიულ მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანას;
- აკადემიური და მოწვეული პერსონალის მონაწილეობით კვლევა პროგრამის შედეგების გაუმჯობესების სფეროების დასადგენად და იმის უზრუნველსაყოფად, რომ სწავლების მეთოდები, კურსის მასალები და შესაბამისი კომპეტენციები იყოს თანამედროვე და ეფექტური.

2021 წელს პროგრამამ გაიარა გარე შეფასება და მიიღო პირობითი აკრედიტაცია. საბაკალავრო პროგრამა შეაფასეს პოტენციურმა კონტრაქტორებმა და გარე ექსპერტებმა. აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების შემდეგ, დაწესებულებისთვის განხორციელდა მონიტორინგის პროცესი, რათა გადამოწმებულიყო აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაციების შესრულება. ექსპერტის დასკვნითი დოკუმენტისა და აკრედიტაციის საბჭოს გადაწყვეტილების თანახმად,

საანგარიშო პერიოდში ყველა რეკომენდაცია შესრულდა. 2024 წლის 25 ივლისს, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თვითშეფასების ანგარიში წარედგინა აკრედიტაციის საბჭოს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის პირობების დასადასტურებლად (იხ. დანართი 12 - 3-წლიანი თვითშეფასების ანგარიში).

უნივერსიტეტმა ასევე გამოიყენა დამატებითი გარე შეფასების მექანიზმი, რომლის მიხედვითაც პროგრამა გარე განხილვისთვის წარედგინა საქართველოს ტექნიკურ და საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებს. ექსპერტთა ჯგუფმა ორივე ანგარიში შეისწავლა დეტალურად, ხოლო საგნის ექსპერტებმა მოამზადეს შეფასებები აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად. ორივე შეფასება დადებითი იყო; თუმცა, ექსპერტებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ მსგავსი პროგრამებისა და საერთაშორისო პრაქტიკის შედარებითი ანალიზის მომზადებისას, პროგრამის მენეჯმენტისთვის მიზანშეწონილი იქნებოდა საუკეთესო პრაქტიკის უფრო ფართო სპექტრის გამოყენება. ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა შესადარებელი პროგრამების შედარებითი ანალიზი და აღნიშნა, რომ ის უნდა გაცდეს სტატისტიკური მონაცემების პრეზენტაციას. ჯგუფმა რეკომენდაცია მისცა პროგრამის მენეჯმენტს, წარმოედგინა დასაბუთებული არგუმენტები შერჩეული მიდგომის დასადასტურებლად და დაესაბუთებია მისი შესაბამისობა პროგრამის განვითარებასა და მის რეგიონულ მნიშვნელობასთან. მესამე ექსპერტის ანგარიში, რომელიც მომზადებულია სლოვაკეთის ტექნიკური უნივერსიტეტის სპეციალისტის მიერ, უფრო მეტად წარმოადგენს მხარდაჭერის წერილს, ვიდრე ექსპერტის არსებით შეფასებას. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნა, რომ მნიშვნელოვანი და ღირებული იქნებოდა, რომ საერთაშორისო ექსპერტებს შეფასებები ჩაეტარებინათ იმავე მეთოდოლოგიური ჩარჩოს გამოყენებით, რასაც იყენებენ ქართველი ექსპერტები. ამით უზრუნველყოფილი იქნებოდა აკადემიური პროგრამების შეფასების თანმიმდევრულობა და შედარებადობა.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- გარე ექსპერტის შეფასება;
- შრომის ბაზრის კვლევის ანგარიშები
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესწავლები (გამოკითხვები)
- მიზნობრივი ნიშნულების ანალიზი
- თვითშეფასების ანგარიში
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები

#### **რეკომენდაციები.**

- რეკომენდებულია, ანალოგიურ საგანმანათლებლო პროგრამებთან შედარებითი ანალიზის ფარგლებში, პროგრამის ხელმძღვანელობამ მოამზადოს დასაბუთებული ანგარიში, რომელშიც მკაფიოდ იქნება ჩამოყალიბებული საგანმანათლებლო პროგრამის მნიშვნელობა და აქტუალობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან მიმართებით.

**რჩევები პროგრამების განვითარებისათვის**

- სასურველია, უცხოელმა ექსპერტებმა პროგრამის შეფასებისას გამოიყენონ იგივე მეთოდოლოგია, რომელსაც იყენებენ ქართველი ექსპერტები;
- სასურველია, პროგრამის ხელმძღვანელმა თავისი კვლევა დააფუძნოს საუკეთესო პრაქტიკის ფართო სპექტრზე.

**შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#">5.2. გარე ხარისხის შეფასება</a>	მეტწილად შესაბამისობაშია

**5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება**

პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, სამეცნიერო, მოწვეული ადმინისტრაციული, დამხმარე პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების და სხვა დაინტერესებული მხარეების ჩართულობით ინფორმაციის სისტემური შეგროვების, დამუშავებისა და ანალიზის მეშვეობით. შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

**საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი**

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციის თანახმად, საგანმანათლებლო პროგრამების მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ხორციელდება არსებული საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების პროცედურის (EPQA 1.3) შესაბამისად. ეს პროცედურა გამოიყენება აკადემიური და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების შესაფასებლად, ასევე არსებული პროგრამების განახლებისა და განვითარებისათვის.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური პასუხისმგებელია არა მხოლოდ პროგრამის შემუშავებაზე, არამედ მის შეფასებასა და მონიტორინგის ფარგლებში ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ განსაზღვრულ ყველა პროცესზე. იგი, პროგრამის ხელმძღვანელთან, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან ერთად აქტიურად მონაწილეობს ამ აქტივობებში. მონიტორინგის პროცედურის ფარგლებში, დაგეგმილია რამდენიმე კონკრეტული ქმედება, რათა უზრუნველყოფილი იყოს პროგრამის უწყვეტი გაუმჯობესება და ეფექტური განხორციელება.

ძირითადი დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, აკადემიური პერსონალის, დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების, გამოკითხვებს ერთობლივად უწევნ

კოორდინაციას პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. კითხვარებს შეიმუშავებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ხოლო მათ ტიპს, ფორმატსა და შინაარსს განიხილავს და ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების მიზნობრივ გამოკითხვებს ატარებს უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელი. გამოკითხვის შედეგებს ანალიზებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური გამოკითხვის შედეგების ანალიზს (დადგენილი პერიოდულობითა და ვადებით) წარუდგენს პროგრამის ხელმძღვანელს და შესაბამის დეპარტამენტს. პროგრამის განხორციელების შემდგომ ფაზაში პროგრამის ხელმძღვანელი და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური დაიცავენ აწეს- ს ინსტიტუციური ხარისხის უზრუნველყოფის კონცეფციაში ასახულ მიდგომებსა და პრინციპებს. წარმოდგენილი პროგრამა ჩართული იყო მონიტორინგის პროცესებში. ამ პროცესის შედეგად, გატარდა შემდეგი გაუმჯობესების ზომები:

- მოხდა სწავლის შედეგები გადახედვა და რედაქტირება;
  - სასწავლო კურსების თანმიმდევრობა ლოგიკურად რეორგანიზდა დაჩაკორექტირდა;
  - გადაიხედა და განახლდა კონკრეტული სასწავლო კურსების წინაპირობები;
- გადახედვა განხორციელდა ორ პრაქტიკულ კურსში (პრაქტიკული ტრენინგი და საწარმოო პრაქტიკა), ასევე შვიდ სხვა სასწავლო კურსში.

პროგრამის განვითარების ჯგუფმა გაანალიზა და სინთეზირება გაუკეთა მოპოვებულ ინფორმაციას. ინსტიტუციური მონიტორინგი სისტემატური ხასიათისაა და მოიცავს შესაბამისი მონაცემების უწყვეტ შეგროვებას, დამუშავებას და ანალიზს. შედეგებზე დაყრდნობით, გაუმჯობესების პროცესში ძირითადი დაინტერესებული მხარეების აქტიური ჩართულობით, პროგრამის ხარისხის გასაუმჯობესებლად იგეგმება კონკრეტული ქმედებები.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის დეპარტამენტი სისტემატური მონიტორინგისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული რეკომენდაციების მეშვეობით მუდმივად აუმჯობესებს პროგრამების ხარისხს და მოჰყავს იგი თანამედროვე საგანმანათლებლო სტანდარტებთან შესაბამისობაში. ეს პროცედურები აძლევს პროგრამის პერსონალს საშუალებას, გამოავლინოს პროგრამის ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები და განსაზღვრონ შესაბამისი ზომები მისი შემდგომი განვითარებისა და სრულყოფისათვის.

#### **მტკიცებულებები/ინდიკატორები:**

- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის შესწავლები (გამოკითხვები)
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ანგარიშები;
- სტუდენტის სწავლის შედეგების მექანიზმები და მათი ანალიზი;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუები.

#### **რეკომენდაციები.**

- წინადადება(ები), რომელიც უსდ - მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის, რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

#### **რჩევები პროგრამის განვითარებისათვის**

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

#### **შეფასება**

გთხოვთ, შეაფასოთ სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან პროგრამის შესაბამისობა

კომპონენტი	შეფასება
<a href="#"><u>5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული მიმოხილვა</u></a>	შესაბამისობაშია